



**სტუდენტები თსუ-ს
სამართლებრივი
სტატუსის შეცვლას
ითხოვენ** 33.7



**სტუდენტებთან
შესვედრები მარტიდან
გაგრძელდება** 33.7

**რამაზ ქურდაკაძე ჰოლანდიელი
ქართულ ენას აზიარა** 33.6

**მეცნიერთა ჯგუფი პატრია
მელიქიშვილის სახელობითი
პრემიით დაჯილდოვდა** 33.6

„კონფერენციით საჯაროს ვხდით ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის სპექტრს და ღირებულებას“





ფაქტი, მოტივი, წაბნევა
33.5

ნომერი
**ბაირონი საქართველოში
„დაბრუნდა“** 33.5

**„ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობის“
ნიგები უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ
გადაეცემა** 33.9

**შექმენი ღონისძიება -
შენი ვიზუალური რეკლამა!**



**სტუდენტური
კონკურსი**

**შექმენი მარჩისი -
შენი გაზეთის დევიზი!**
სტუდენტური კონკურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია აცხადებს კონკურსს გაზეთის დევიზის შესარჩევად.

შექმენი მარჩისი - შენი გაზეთის დევიზი! გახდი კონკურსის გამარჯვებული და მოიგე პრიზი.

დევიზი უნდა ასახავდეს გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარ იდეას, არსსა და მიზანს, რაც იდეურად შეკრავს სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებას, რომლის სამსახურშიც არის და უნდა იყოს გაზეთის რედაქცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 1 მარტამდე გამოაგზავნეთ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტისთვის“ თქვენ მიერ მოფიქრებული და შერჩეული დევიზი საკონკურსო მისამართზე tsunewspaper@tsu.ge

აუცილებელი მოთხოვნები:
შერჩეული დევიზი უნდა იყოს ლაკონური და უნდა ეხმიანებოდეს გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ შინაარსს;
თქვენს მიერ გამოგზავნილ დევიზს დაურთეთ თქვენი ავტობიოგრაფიული მონაცემები და ფოტოსურათი;

რედაქციის მხრიდან შერჩეული კომპეტენტური ფიურის მიერ კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული დაჯილდოვდება გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე 21 მარტს, სადაც გაფორდება გამარჯვებული დევიზი, რაც გაზეთის ქუდს დაამშვენებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
ტელ: 2 22 36 62
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია

„კონფერენციით საჯარო ვხდით ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის სპექტრს და ღირებულებას“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი — 22-26 იანვარს გაიმართა პირველი საფაკულტეტო-სამეცნიერო კონფერენცია. იგი უნივერსიტეტის დაარსების 95 წლისთავს მიეძღვნა და მომავალში ტრადიციად იქცევა.

დადგინდებით, რომელიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ 2012 წლის 26 დეკემბერს მიიღო, განსაზღვრულია, რომ საფაკულტეტო-სამეცნიერო კონფერენცია ყოველწლიურად იანვრის მესამე დეკადაში გაიმართება და მასზე წარმოდგენილი იქნება წინა კალენდარულ წელს მიღებული სამეცნიერო შედეგები. კონფერენციაში მონაწილეობა სავალდებულო იქნება დოქტორანტიებისთვის, საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებისთვის და იმ აკადემიური პერსონალისთვის, ვინც სახელფასო დანამატს იღებს, ხოლო რეკომენდებული — ფაკულტეტის ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომელიც სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს ასრულებს.

პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე იმუშავა 35-მა სექციამ, რომელზეც 350-მდე მოხსენება წარმოადგინეს. ბოლო ორი დღე კონფერენციის პლენარულ და შემაჯამებელ მოხსენებებს დაეთმო.

მანია ტორაძე

თემატიკა ნაღარევილი

პლენარული მოხსენებები

პლენარული მოხსენებები წარადგინეს: ემერიტუსმა პროფესორმა დავით გორდეზიანმა („მრავალგანზომილებიანი კლასიკური და არაკლასიკური, სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისათვის განზომილების რედუქციის და დეკომპოზიციის მეთოდების გამოყენების შესახებ“); სრულმა პროფესორმა ვია სირბილაძემ („შესაძლებლობითი პროგნოზირების ახალი საექსპერტო ტექნოლოგიები ფაზი-დინამიკურ სისტემებში“); სრულმა პროფესორმა ლია მაჭავარიანმა („ნიმდისის ასაკი: წარსული, აწმყო, მომავალი“); პროფესორმა შოთა ადამიამ („კავკასიის ლითონფერო: გეოლოგიური წარსული, დღევანდელი ვითარება“); ასისტენტ-პროფესორმა ლევან შოშიაშვილმა („ქართული ენის მხარდაჭერა Tex სისტემაში“).

პლენარულ მოხსენებათაგან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თსუ-ის სრული პროფესორების ნანა შათაშვილის, თეიმურაზ ლეჟავას და ბეჟან ჭანკვეტაძის მოხსენებებმა.

ასტროფიზიკის მიმართულების სრულმა პროფესორმა ნანა შათაშვილმა წარადგინა მოხსენება „დიდ-მასშტაბიანი დინების აჩქარება/გენერაცია ასტროფიზიკურ ობიექტებში“ (თანამშრომლობაში პროფ. სვადემ მაჭავარიანთან (ტუხაჩის უნივერსიტეტი ოსტინში), პროფ. ზენზო იოშიდასთან (ტოკიოს უნივერსიტეტი)), რომელიც თანამედროვეობის ერთერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. ასეთი დინებები მნიშვნელოვანია იმით, რომ ისინი თავისთავად წარმოადგენენ ასტროფიზიკური ობიექტისათვის განმსაზღვრელ ელემენტებს. დიდმასშტაბიანი დინებებით სხვა უფრო გლობალური პროცესების ახსნაც შეიძლება. ის შედეგები (აჩქარების კონკრეტული მოდელები), რაც კვლევისას პროფესორმა შათაშვილმა თანავტორებთან ერთად მიიღო, კარგად ესადაგება თანამედროვე ასტროფიზიკურ დაკვირვებებს.

ბიოლოგიის მიმართულების სრულმა პროფესორმა თეიმურაზ ლეჟავამ ისაუბრა

გენეტიკურ პრობლემებზე. მისი მოხსენება „დაბერებული“ ჰეტეროქრომატინის რეაქტივაცია“ შეეხებოდა დაბერების გენეტიკას. კერძოდ, რა ცვლილებები ხდება გენეტიკურ აპარატში დაბერების დროს, შეიძლება თუ არა ვიმოქმედოთ რაიმე გარეგანი ფაქტორით ამ პროცესზე, რომ მოვახდინოთ დაბერების გადაწვევა, გადაადგილება? მოხსენებაში საუბარი იყო, რომ კვლევის შედეგად მოძებნილია ამგვარი რეაგენტები — ესენი არიან სინთეზური მოკლე პეპტიდები, რომლებმაც გამოიწვიეს დაბერების დროს წარმოდგენილი ჩაკეტილი გენების გახსნა. შესაბამისად, ამ პრეპარატების მეშვეობით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ დაბერების პათოლოგიები და გავიხსნაგრძლიოთ სასიცოცხლო ციკლი.

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულების სრულმა პროფესორმა ბეჟან ჭანკვეტაძემ წარმოადგინა მოხსენება „გამოკვლევები ენანტიომერული ნარეგების დაყოფების ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმების კვლევის დარგში“. მოხსენებაში საუბარი იყო, რომ ისეთი ქირალური მოლეკულების ენანტიომერები, როგორცაა სამკურნალო-ნაწილი საშუალებები, აგროქიმიკატები, საკვების დანამატები და ა.შ. განსხვავებული ბიოლოგიური მოქმედებით ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, ქირალური მოლეკულები, რომელთა გამოყენება ზემოთ ხსენებული მიზნებით მოიაზრება, შემუშავებული უნდა იყოს ენანტიომერულად სუფთა სახით. ენანტიომერების დაყოფა წარმოადგენს მათი ანალიზის ძირითად, ხოლო მათი დიდი რაოდენობით მისაღებად ერთერთ მნიშვნელოვან მეთოდს. აქედან გამომდინარე, ენანტიომერული ნარეგების დაყოფა თანამედროვე ქიმიის ერთერთ აქტუალურ პრობლემას განეკუთვნება. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გამოკვლევები ენანტიომერული ნარეგების დასაყოფად ახალი მასალების დამუშავების, კომერციალიზაციისა და გამოყენების სფეროში სითხურ ქრომატოგრაფიაში, ჰეკრიტიკული წნეების ქრომატოგრაფიაში, ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში. მოხსენების პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო ცელულოზას და ამილოზას ახალი ნაწარმები, რომლებიც გამოსადეგია ენანტიომერული ნარეგების პრეპარატული და ანალიზური დაყოფებისთვის სხვადასხვა ტი-



პის ქრომატოგრაფიული მოძრავი ფაზების გამოყენებით. მოხსენების მეორე ნაწილში დეტალურად განიხილა ამ ახალი მასალების წარმომადგენელი, რომელთა კომერციალიზაცია პროფესორ ბეჟან ჭანკვეტაძის გამოკვლევების საფუძველზე განხორციელდა ამერიკული კომპანია Phenomenex-ის მიერ. მიმოხილული იყო აგრეთვე მკვლევართა ჯგუფის მიერ მიღებული ახალი შედეგები ენანტიომერების ელუირების რიგის რეგულირებისა და ქირალური გამოცნობის მექანიზმების კვლევის დარგში.

შემაჯამებელი მოხსენებები

სამეცნიერო კონფერენციის ბოლო დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა წარმოადგინა შემაჯამებელი მოხსენებები დეპარტამენტების მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **დავით კერესელიძემ** მოხსენებაში შეაჯამა 2012 წელს გაწეული მუშაობა და ისაუბრა იმ ძირითად სამეცნიერო კვლევებსა და ექსპედიციებზე, რომელიც დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ უნივერსიტეტის დაფინანსებით ჩატარდა. „გარემოს დაცვა უპირველესი პრობლემაა და ყველა ვხედავთ, რომ კლიმატი შეიცვალა. ამ პროცესების შესასწავლად და მათზე დასაკვირვებლად საჭიროა ექსპედიციების მოწყობა, მაგალითად, მცინარებზე. ცნობილია, რომ მცინარები დაწეულია საშუალოდ 10-12 მეტრით (თუმცა არსებობენ მცინარები, რომლებიც 180 მეტრითაა დაწეული). ეს მომავალში იმოქმედებს წყლის რესურსებზე, ლანდშაფტზე და ცოცხალ ორგანიზმებზეც კი. ჩვენი დეპარტამენტი ამ პრობლემატიკაზე მუშაობს. გვაქვს როგორც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო გრანტები,“ — განაცხადა პროფესორმა დავით კერესელიძემ.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებული პროფესორმა **იმარ ფურთუხიამ** წარმოადგინა დანერგვითი სტატისტიკა მათემატიკის დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დეპარტამენტში არასოდეს მიმდინარეობდა მხოლოდ სასწავლო პროცესი, რადგანაც ყველა თანამშრომელი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. „ამის დასტურია ის, რომ გასულ წელს ჩვენი თანამშრომლების მიერ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებულია 59 სამეცნიერო სტატია. ასევე საგულისხმოა, რომ სემესტრის განმავლობაში 3 უცხოელი პროფესორი გვყავდა მოწვეული“, — განაცხადა ბატონმა იმარ ფურთუხიამ. მან მაღალი შეფასება მისცა კონფერენციის სექციურ მუშაობას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მოხსენებები მთლიანად საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევებს შეეხებოდა და მათი ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებული იყო იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **არჩილ უგულავამ** პირველ რიგში მაღლობა გადაუხადა ზუსტ

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს რამაზ ბოჭორიშვილს, ინიციატივისა და კონფერენციის ორგანიზებისათვის. „უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დანესხეულობა და ის იმით განსხვავდება საჯარო სკოლისაგან, რომ უნივერსიტეტის პროფესორი აუცილებლად უნდა ეწოდეს სამეცნიერო საქმიანობას. ჩვენი დეკანის ინიციატივა მისაღებელია. არ მახსოვს, რომ ადრე ყოფილიყო საფაკულტეტო კონფერენციების ჩატარების ტრადიცია. ამ კონფერენციით საჯაროს ვხდით ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის სპექტრს და ღირებულებას. პლენარულ და შემაჯამებელ მოხსენებებს წინ უძღვოდა სექციური მუშაობა, რითაც კარგად გავიცანით ერთმანეთის სამეცნიერო ინტერესები“, — განაცხადა მან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, თსუ-ის ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **შოთა სამსონიამ** განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კონფერენციას, როგორც დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის მოსმის საუკეთესო ფორმას. „ეს არის პირველი კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც ყველა დეპარტამენტმა ჩააბარა 2012 წლის ანგარიში. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ დოქტორანტები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კონფერენცია დაგვირგვინდა ორი საინტერესო ნაწილით — ესაა სამეცნიერო მოხსენებები და შემაჯამებელი მოხსენებები. ჩვენ ქიმიის დეპარტამენტში შევთანხმდით, რომ მორიგეობით გავაკეთებთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. წელს ანგარიში გააკეთა ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრამ, მომავალ წელს ასეთივე ანგარიშს წარმოადგენს არაორგანული ქიმიის კათედრა, შემდეგ — ორგანული ქიმიის კათედრა და ა.შ. ვფიქრობ, ამგვარი ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის ხარისხის ამაღლებას“, — განაცხადა მან.

კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **ალექსანდრე გამყრელიძემ** წარმოადგინა გაწეული მუშაობის ანალიზი და მომავლის გეგმებზე ისაუბრა. მან გამოკვეთა ის კონტაქტები, რომელიც დეპარტამენტს აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან. განსაკუთრებით აღნიშნა მასქ პლანის საზოგადოების ორი ინსტიტუტი, ზაარლანდის უნივერსიტეტი, ხელოვნური ინტელექტის კვლევის ცენტრი და მასთან არსებული ორი ინსტიტუტი, ასევე, შვეიცარიისა და ამერიკის შვერთეული მუშაობის ინსტიტუტები.

გეოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **ბეჟან თუთბერიძემ** ისაუბრა სამეცნიერო კვლევების იმ ფართო სპექტრზე, რომელსაც დეპარტამენტი მოიცავს. მან აღნიშნა, რომ კვლევები რამდენიმე წლიანია და შედეგები შესაძლოა მომავალ წელს შეჯამდეს, თუმცა სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს და ის საკმაოდ მრავალმხრივია. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დეპარტამენტში მიმდინარე გეოფიზიკურ სამუშაოებს და კვლევებს,



„კონფერენციით საჯაროს ვხდით ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის სპექტრს და ღირებულებას“

მესამე გვერდიდან

რომელიც ვულკანებს და მასთან დაკავშირებული მადნეულის საბადოების არსებობას ან არსებობის საკითხის დადგენას შეეხება. მომავალში დეპარტამენტი იწყებს უცხოელ სპეციალისტებთან ერთობლივ მუშაობას ვულკანების მონიტორინგის თაობაზე. „მოგეხსენებათ, არსებობს ასეთი სტატისტიკა, რომ ვულკანი შეიძლება არსებობდეს 7—10 ათასი წელი და ის უკვე აღარ ამოიფრქვევა, მაგრამ ყაზბეგში და სხვაგან ჩვენ არ გვაქვს ასეთი ვულკანები, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე არსებობენ, ამიტომ ასეთი ვულკანების მონიტორინგი აუცილებელია“, — თქვა მან.

ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **რომან ჯობაჯამ** აღნიშნა, რომ დეპარტამენტი ახალი შექმნილია და იმდენი კვლევები, რამდენიც სხვა დეპარტამენტებს ჰქონდათ წარმოდგენილი ამ დეპარტამენტში ჯერ არ შექმნილია, თუმცა მუშაობენ უცხოელ მეცნიერებთან ერთად და მომავალში ერთობლივი მუშაობის შედეგები უკეთ გამოჩნდება.

ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა **დიანა ძიციგურმა** შემაჯამებელ მოხსენებაში ხაზი გაუსვა ბიოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2012 წელს განეულ მუშაობას და აღნიშნა, რომ ამგვარი კონფერენციის გამართვა მისასალმებელია, რადგანაც ამით უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებას საშუალება ეძლევა, დააკვირდეს კოლეგების საკვლევ თემატიკას და შესაძლოა საფუძველი ჩაეყაროს ინტერდისციპლინარულ კვლევებსაც. „ჩვენ ადრეც გვექონდა წელიწადში ერთხელ სამეცნიერო სემინარები, რომელზეც ვეცნობოდით ერთმანეთის მუშაობას, მაგრამ ასეთი შემაჯამებელი კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია. მომავალში უკვე შესაძლებელია მოვიწვიოთ კოლეგები სხვადასხვა ინსტიტუტებიდან და სამეცნიერო კვლევები დაწესებულებებიდან. ძალიან მნიშვნელოვანი იყო დოქტორანტების მოსმენა სექციურ მუშაობაში. ბიოლოგიის დეპარტამენტს ბევრი დოქტორანტი ჰყავს და ამ სექციებზე მათმა ნაწინამა უკვე თითქმის დასრულებული თემა წარმოადგინა, ზოგადაც — გემის სახით გვაჩვენა, რა ეტაპზეა მისი სადოქტორო ნაშრომი. მათ მიეცათ საშუალება — თავი წარმოეჩინათ და გამოცდებულ შემთხვევაში მიმართა, რომ ჩვენს დეპარტამენტში მალაღი დონის სამეცნიერო მოხსენებები წარმოადგინეს. ვფიქრობ, თუკი დღევანდელ რეალობაში იმას ვახერხებთ, რომ მწირი დაფინანსების პირობებში ამ დონის კვლევები კეთდებოდეს, გვაქვს ამდენი სამეცნიერო გრანტი და იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ეს ნიშნავს, რომ გავართვით თავი ბიოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების პროცესს ჩვენს ქვეყანაში“, — აღნიშნა მან.

შეფასება

ალექსანდრე შინგაშვილი, კონდენსირებული გარემოს ფიზიკის მიმართულების სრული პროფესორი, თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი:

— კმაყოფილი ვარ იმით, რაც ამ დღეებში მოვიხილეთ. საკმაოდ შთამბეჭდავი მოხსენებები იყო და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს მეცნიერების ავანგარდშია. ამას ადასტურებს, როგორც მოხსენებების დონე, ასევე, გრანტების და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა. უნდა გავხსენავ საინტერესო პლენარულ მოხსენებას ჰქონდა სრულ პროფესორ ნანა შათაშვილს, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემას ასტროფიზიკაში — დიდმასშტაბიან ობიექტებს შეეხებოდა. ასევე საინტერესო იყო ასისტენტ-პროფესორის თამარ ჭელიძის თეორიული ნაშრომი. მან ახსნა ნოტრდამის უნივერსიტეტში მიღებული ექსპერიმენტული შედეგები, რომელიც გამოქვეყნდა ნანოტექნოლოგიების კუთხით ერთერთ პრესტიჟულ და მაღალრეიტინგულ ჟურნალში. ამგვარი კონფერენციის გამართვა ძალიან კარგი ინიციატივაა და მიმართა, რომ მომავალში ის ტრადიციად უნდა იქცეს.

ბეჰან ჭანკვეტაძე, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულების სრული პროფესორი:

— ეს დიდი ნამონყებაა და თუ დროს გადაურჩა და გაგრძელდა, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დღევანდელი ადმინისტრაციისთვის ესეც საკმარისი იქნება, რომ უნივერსიტეტის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

რაც შეეხება ზოგადად კონფერენციას, მხოლოდ ქიმიის სექციის მუშაობას ვესწრებოდი და, ჩემი აზრით, საერთო დონე მისაღებია. საუბარი იმაზე, რომ ეს არის საერთაშორისო დონის კონფერენცია — ცოტა გადამეტებული იქნებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ იყო კარგი მოხსენებებიც. განსაკუთრებით გამოყოფილი დოქტორანტებს, რომელთა გამოხსენებები ნათლად ჩანდა ჯგუფებს შორის განსხვავება.

სამეცნიერო ნაწილიდან პირადად ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ბატონი თეიმურაზ ლეჟავას მოხსენება. ასეთი მოხსენების გაკეთება, ადვილი არ არის, რადგან ფაკულტეტი საკმაოდ მრავალფეროვანია, დარბაზში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სხედან და ეს ადამიანები რომ 35—45 წუთის განმავლობაში დაინტერესო, მოხსენება მათთვისაც გასაგებია უნდა იყოს. ანუ, არ უნდა დაკარგო ოქროს ზღვარი პროფესიულ სამეცნიერო მოხსენებასა და ამ მოხსენების საჯარო ნაწილს შორის. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მეცნიერის მაღალი დონე. ამისათვის საჭიროა დიდიქტიკა და მოხსენებლის დახვეწილი სტილი. ჩემი აზრით, ბატონი თეიმურაზის მოხსენება ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა.

რაც შეეხება შემაჯამებელ მოხსენებებს, ვფიქრობ, ამ ნაწილს სერიოზული დახვეწა სჭირდება. რამდენადაც ვიცი, ფაკულტეტის დეკანის აზრი იყო, რომ უნდა წარმოეჩინა იყო 2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მუშაობის სტატისტიკური მონაცემები. როგორც ჩანს, ზოგიერთი მოხსენებელი თავს არიდებს ამ საკითხებზე საუბარს, მაგრამ ეს აუცილებელია, რადგან წელიწადში ერთხელ ჩვენი შრომები შევაჯამოთ და ჩვენს კოლეგებს ანგარიში ჩავაგზავროთ. ეს მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტებულად თითოეული კათედრის, ინსტიტუტის ლაბორატორიისა თუ სხვა სტრუქტურული ერთეულისათვის, რათა ცალსახად ჩანდეს, თუ როგორ ართმევს თავს ამა თუ იმ სტრუქტურულ ერთეულს პერსონალი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ თვალსაზრისით, მოხსენებების დახვეწა აუცილებელია, სხვაგვარად კონფერენციის ეს ნაწილი, რომელიც, ფაქტობრივად, საანგარიშო ხასიათის უნდა იყოს, თავის აზრს დაკარგავს.

რამაზ ზოჭორიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— მიმართა, რომ კონფერენციამ მიზანს მიაღწია და ის ისეთ დონეზე ჩატარდა, რასაც უნივერსიტეტი თავის საიუბილეო დღეებში იმსახურებდა. ვფიქრობ, მომავალ წელს უკვე ტრადიციად ქცეული საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია კიდევ უფრო დიდ მიღწევებს აჩვენებს.

გია დვალი „შავი სვრულბის ფიზიკისა და კოსმოლოგიის“ შესახებ

სამეცნიერო კონფერენციის დასკვნითი მოხსენება წაიკითხა ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა, მაქს პლანკის ინსტიტუტის (გერმანია) დირექტორმა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კოსმოლოგიისა და ნაწილაკების ფიზიკის ცენტრის პროფესორმა **გია დვალმა**.

მოხსენებაში „შავი ხვრელების ფიზიკა და კოსმოლოგია“, პროფესორმა დვალმა ყურადღება გაამახვილა ერთეულთა სისტემებზე („ლუთიური სისტემა“), სადაც სინათლის სიჩქარე და პლანკის მუდმივა ერთის ტოლია. მან მოკლედ მიმოიხილა კვანტური მექანიკის წარმომშობის წინაპირობები, „როდესაც კლასიკურმა ფიზიკამ კბილი მოიტეხა ატომში მიმდინარე პროცესების ახსნისას“.

პროფესორმა დვალმა კითხვა დასვა და თავადვე გასცა პასუხი, თუ რატომ აირჩია ლეეციის თემაზე შავი ხვრელების ფიზიკა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ შესაძლოა განმეორდეს XX საუკუნის დასაწყისში არსებუ-



ლი სიტუაცია და შავი ხვრელების ფიზიკის შესახებ რაღაც ფუნდამენტალურად ახალი გავიგოთ. მან ახსნა, რომ შავი ხვრელები წარმოადგენენ ძლიერად გრავიტირებად ობიექტებს, საიდანაც სინათლის სხივსაც კი არ შეუძლია გამოღწევა.

გიორგი დვალმა ისაუბრა შვარცშილდის რადიუსის შესახებ და საილუსტრაციოდ მოიყვანა მაგალითი — დედამიწის რადიუსი უნდა გახდეს დაახლოებით ერთი სანტიმეტრი და იგი შავ ხვრელად გადაიქცევა, ანუ ეს მისი შვარცშილდის რადიუსია.

შავი ხვრელების ფიზიკა საიდუმლოებითაა მოცული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეჭვგარეშე ვიცით ამ ობიექტის თვისებები, მაგრამ არ გავაჩნია მათი ფუნდამენტალური ახსნა. მაგალითად, შავ ხვრელებს არ გააჩნიათ მესხიერება მათი წარმოშობის შესახებ. ჩვენ შეგვიძლია შავი ხვრელი გავაკეთოთ კომპიუტერიდან, „ვეფხისტყაოსნიდან“ ან სხვა ობიექტიდან და ყველა ამ შავ ხვრელს ერთი და იგივე ფორმა და მახასიათებლები ექნება. ძალიან ძნელია ეს ფიზიკოსმა „გადახარშოს“, რადგან შავი ხვრელი თავის თავში რაღაც ინფორმაციას იკავებს, რომელსაც თქვენი ველარასოდ ვეღარ ამოიკითხავთ.

კვანტურ-მექანიკურად შავ ხვრელებს რამდენიმე თვისება გააჩნია. პირველი ესაა ჰოუკინგის გამოსხივება, რომელმაც აჩვენა, რომ კვანტურ-მექანიკურად შავი ხვრელები ასხივებენ და ამ გამოსხივების სპექტრი უსტად თერმულია. რაც ნიშნავს, რომ მასში ვერანაირ ინფორმაციას ვერ ჩავწერთ, ანუ, თქვენ ვერ გაიგებთ, ეს თერმული სპექტრი ვისგან მივიღეთ — მეზობლისგან თუ სხვა გალაქტიკისგან. ამ ფაქტის დადგენამ დიდი შოკი გამოიწვია სამეცნიერო საზოგადოებაში, რადგან ჰოუკინგმა აქედან გააკეთა შემდეგი დასკვნა: შავ ხვრელებს გააჩნიათ ინფორმაციის პარადოქსი. კლასიკური თვალსაზრისით, შავი ხვრელი ეს არის ისეთი ყუთი, რომლის გახსნა შეუძლებელია. თავისთავად ეს არის უცნაური ფაქტი, მაგრამ არა — პარადოქსი, რადგანაც ვიცი, რომ ყუთში ჩავდე ინფორმაცია, რომელსაც ვერ ვხსნი, მაგრამ ვიცი, რომ ინფორმაცია იქ ინახება. პარადოქსი ისაა, რომ კვანტურ-მექანიკურად ყუთი მთლიანად ორთქლდება — ესე იგი, რაღაც დროის შემდეგ ჩემ მიერ ჩადებული (ნებისმიერი) ინფორმაცია უკვალოდ ქრება, — განაცხადა გია დვალმა და შემდეგ ახსნა — „რას ნიშნავს ინფორმაციის დაკარგვა? ჩვეულებრივ, შესაძლებელია ბუხარში დამწვარი „ვეფხისტყაოსნიდან“ აღდგეს ის, რაც დაინვა. ეს ტექნიკური პრობლემაა, მაგრამ, პრინციპში, შესაძლებელია. რატომ? იმიტომ, რომ ბუხრიდან გამოსული გამოსხივების სპექტრი არ არის ზუსტად თერმული და სპექტრის თერმულობიდან გადახარბა ჩანს იმისა ის ინფორმაცია, რომელიც „ვეფხისტყაოსნისაში“ იღო. შავი ხვრელი კი სწორედ იმიტომ არის პარადოქსული, რომ განსხვავება არ არსებობს — რისგან გააკეთეთ თქვენ იგი — კომპიუტერისგან თუ „ვეფხისტყაოსნისგან“, რაც უნდა ჩააგდო მასში, ერთნაირად გაქრება. ეს არის ძალიან დიდი საიდუმლოებით მოცული ინფორმაცია და უკვე დაახლოებით 40 წელია, რაც ცნობილია როგორც ინფორმაციული პარადოქსი“, — განაცხადა მან.

მეორე უმნიშვნელოვანესი კვანტურ-მექანიკური შედეგი არის ე.წ. ბეკენშტაინის ენტროპიის არსებობა. ეს მეორე მისტერია იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ამ ენტროპიის არ-

სებობა, მაგრამ საიდან მოდის ის, წარმოდგენა არ გვაქვს. ეს მოხსენება იქნება იმის გაშიფრვა, თუ რატომ არსებობს სინამდვილეში ინფორმაციის პარადოქსი და რა არის სუბსტანცია, რომელიც შავ ხვრელს ქმნის. ამ დარგში მოღვაწე ფიზიკოსთა უმეტესობა, მათ შორის მეც, ვეთანხმებით იმას, რომ არავითარი ინფორმაციის პარადოქსი არ არსებობს. საკითხი ისაა, თუ როგორ ვხსნით ინფორმაციის პარადოქსს. აქ ორ ვარიანტთან გვაქვს საქმე: ან ლოგიკური ჯაჭვია არასწორად აგებული, ან რაღაც დაშვება, რომ რაც ჩანს — სწორი უნდა იყოს, არასწორია“, — განაცხადა პროფესორმა დვალმა.

ჰოუკინგის დაშვება იყო ის, რომ თერმულობიდან გადახრა ექსპონენციალურად დათრგუნული უნდა იყოს. მან დაშვება ლოგიკურად უღერს. რატომ? იმიტომ, რომ დიდი მაკროსკოპული ობიექტები იქცევიან, როგორც კლასიკური ობიექტები. ეს დაშვება ყველამ მიიღო — როგორ შეიძლება, რომ უზარმაზარი კლასიკური ობიექტისთვის კვანტური შესწორებები მნიშვნელოვანი იყოს. ჩვენი თეორიის თანახმად, პარადოქსი იმიტომ წარმოიქმნება, რომ ეს კვანტური შესწორებები არ არის მცირე და მაკროსკოპული ობიექტისთვის რიგით ერთის ტოლია, ანუ, ფაქტობრივად გამოდის, რომ შავი ხვრელი არ აღინერება კლასიკური ფიზიკით და „მისთვის კვანტური მექანიკა ასპროცენტინად მნიშვნელოვანი და ამ პარადოქსის მთავარი ახსნის კვანძია“.

მოხსენების დარჩენილ ნაწილში პროფესორმა გია დვალმა ახსნა, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს მაკროსკოპული ობიექტები, რომელთათვისაც კვანტური მექანიკა ასე მნიშვნელოვანია. ამისთვის მან გაიხსენა ლაპლასის პირველი იდეა შავი ხვრელის შესახებ და მიმოიხილა იგი. ამ ფონზე პროფესორმა დვალმა ახსნა, თუ რას ნიშნავს კლასიკური ველი, რომლის თანახმადაც კლასიკური გრავიტაციული ველი არის ერთობლიობა გრავიტაციის გადამტანი უამრავი ნაწილაკისა, რომელთაც ჩვენ გრავიტონებს ვეძახით. კერძოდ, დედამიწის გრავიტაციული ველში 10⁶⁶ გრავიტონია. ეს რიცხვი იმდენად დიდია, რომ გრავიტაციული ველი უწყვეტი გვეჩვენება.

გია დვალმა ასევე ისაუბრა პლანკის სიგრძის მნიშვნელობაზე, რომელიც 10⁻³³ სანტიმეტრია — პლანკის სიგრძეზე პატარა მანძილებზე ლაპარაკი ფიზიკურად აზრი არ აქვს.

მოხსენების შემდგომ ნაწილში გია დვალმა აღნიშნა, რომ შავი ხვრელი არის კონგლომერატი, რომელიც იქმნება ნაწილაკებისაგან, რომელთაც აქვთ მაქსიმალური ოკუპაციის რიცხვი — ანუ მოცემულ ყუთში ვდებთ ნაწილაკების მაქსიმალურ რაოდენობას. სინამდვილეში შავი ხვრელი მაკროსკოპული ობიექტია, რომელიც დგას ფაზური გადასვლის წიკზე, რომლისთვისაც კვანტური მექანიკა უმნიშვნელოვანესია და ეს მიდგომა ავტომატურად ხსნის ზემოთ აღნიშნულ პარადოქსებს.

და ბოლოს, მოხსენებელმა ისაუბრა იმ უკანასკნელ მიღწევებზე, რომელიც მან თავის დოქტორანტებთან ერთად მიიღო და სათანადო ენტროპიის გრაფიკებიც აჩვენა. მან აღნიშნა, რომ შავ ხვრელზე უფრო მეტი ინფორმაციის შემნახავი და გადამამუშავებელი არ არსებობს.

მოხსენების დასასრულს გია დვალმა დარბაზის მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხა.



ფაქტი, მოტივი, რეაქცია

ნათო მობლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2012 წლის 21 დეკემბერს გამართული არჩევნების შედეგებთან და საარჩევნო პროცედურების საკითხებთან დაკავშირებით დეკანობის ორმა კანდიდატმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა — ანდრო ბარნოვმა, რომელმაც აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების ოქმი გაასაჩივრა, რის მიხედვითაც იგი დეკანის არჩევნებში კანდიდატად ვერ დარეგისტრირდა და რეზო ჯორბენაძემ, რომელმაც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის არჩევნებში მონაწილეობის ხმათა უმრავლესობა მიიღო და რომელიც ფაკულტეტის საბჭომ არჩეულად ჩათვალა. არჩევნების გამართვის მოუხედავად, რეზო ჯორბენაძის კანდიდატურის დამტკიცებაზე თსუ-ის რექტორმა უარი განაცხადა.



რეზო ჯორბენაძე

ანდრო ბარნოვმა, რომელსაც დეკანის მოვალეობას ასრულებდა და ვადა 16 თებერვალს ენურებოდა, სასამართლოდან სარჩელი მიმდინარე წლის 17 იანვარს გამოიტანა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების თანახმად შიდა ქართლის გუბერნატორად დაინიშნა, რის შემდეგაც თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა დატოვა.

21 იანვარს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანი დეკანის მოვალეობის ახალი შემსრულებელი თსუ-ის ასოცირებული პროფესორი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე დაინიშნა.

აღნიშნული მოვლენების პარალელურად რეზო ჯორბენაძემ სასამართლოში სარჩელი კიდევ ერთი შეიტანა, რის მიხედვითაც იგი ითხოვს, რომ თსუ-ის ადმინისტრაციის მხრიდან სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობასთან და ახალ არჩევნებთან მიმართებაში შემდგომი ქმედებები არ განხორციელდეს იქამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. მიიღებს თუ არა რეზო ჯორბენაძის მეორე სარჩელს სასამართლო განსაზღვრავს და მოსამართლე გადასცემს თუ არა სააპელაციო სასამართლოს საქმეს, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პოსტთან დაკავშირებით 21 დეკემბრის არჩევნებში ხმათა უმრავლესობით არჩეულ კანდიდატსა და თსუ-ის ადმინისტრაციის შორის დავა, მხარეები განსხვავებულად ხსნიან. გასული წლის 30 ნოემბერს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, დეკანი დამსრუტად უმრავლესობით აირჩევა, ძველი წესით კი დეკანი სითით უმრავლესობით აირჩეოდა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ძალადაკარგული დღემდე არ არის. თსუ-ის ოფიციალური დეკანის თანამდებობის წარმომადგენლის ვასილ ბარამიძის განმარტებით, „რექტორის ბრძანებაში რეზო ჯორბენაძის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დამტკიცებაზე მოტივირებული უარია ნათქვამი. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები რეგულირდება შიდა საფაკულტეტო სამართლებრივი აქტით: 1) ფაკულტეტის დებულება, რომლის მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ფაკულტეტის საბჭო — თავისუფალი და თანასწორი

არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სითით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს“, რაც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ოდენობიდან გამომდინარე (35 წევრი), მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 18 ხმას; 2) „სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი“, რომლის მიხედვითაც არჩევნებზე დამსრუტ წევრთა რაოდენობა უნდა იყოს საბჭოს წევრების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, ხოლო გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას დააგროვებს. აღნიშნული წესი არ აკონკრეტებს დეკანობის კანდიდატისთვის არჩევნებში გასამარჯვებლად საჭირო ხმების რაოდენობას.

ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტები ადგენენ დეკანობის კანდიდატის არჩევის განსხვავებულ წესებს. შესაბამისად იგი ყველა შემთხვევაში გამოიწვევს დაინტერესებულ მხარეებში არასამართლიანობის განცდას და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მხარეთა მიერ პროცედურის გასაჩივრებას. აქედან გამომდინარე პრიორიტეტად განისაზღვრა არსებული სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება და ყოველი შემდგომი პროცედურების მის მიხედვით წარმოება“.

რეზო ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ რექტორის მიერ მისი კანდიდატურის დანიშვნაზე უარის თქმითა და დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის გადაწყვეტილებით მისი უფლებები დაირღვა. „როდესაც უნივერსიტეტი იღებს არაკომპეტენტური იურიდიული პირის სტატუსს, ბუნებრივად, იღებს ახალ წესდებას, სხვა ქვემდებარე აქტები მოქმედებს, მაგრამ ახლად მიღებული წესდება არეგულირებს სხვა ქვემდებარე აქტებს, ცვლის სხვადასხვა მარეგულირებელ ქვემდებარე პუნქტებსაც. რექტორის აზრით, ჩემი არდანიშვნა სადავო ვადა იმის გამო, რომ ფაკულტეტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესით უნდა ჩაეტარებინა არჩევნები. ასეთ შემთხვევაში რექტორის თვითონვე უნდა დაენიშნა არჩევნები და მასში მთელი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს უნდა მიეღო მონაწილეობა და არა მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს. მოხდა ისე, რომ რექტორმა აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№97/2012) განსაზღვრა — არჩევნების ჩატარება ფაკულტეტს დავალებოდა. როდესაც დეკანის არჩევნების თარიღი დაინიშნა, რათა არ მომხდარიყო სამართლებრივი გაუ-

გებრობა, ანდრო ბარნოვმა იურიდიული ერთად შეიმუშავა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი. მის განხილვაში ფაკულტეტის საბჭო იღებდა მონაწილეობას და იგი 30 ნოემბერს დამტკიცდა. ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესებით უნდა გვემოქმედა. ძალიან ბევრმა იურიდიულმა სასაცილოდაც კი მონათლა ეს არგუმენტი. 18 იანვრის გაზეთ „რეზონანსში“ გამოვაქვეყნე სტატია, სადაც აღვნიშნე, რომ თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი გარკვეული თავშესაფარი და შემდეგ ტრამპლინი ხდება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებში აწინაურებენ. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს კი დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავენ. სერგი კაპანაძის საინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ასეთი შემთხვევები უნივერსიტეტში არ უნდა ხდებოდეს. გაავრცელდეს სასამართლოს გზით ბრძოლას, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არის ცივილური მეტოდი. ჩემი ქმედებები არ არის იდეაფიქსი, რომ გავხვდეთ დეკანს, ეს არის ბრძოლა არასამართლიანობის წინააღმდეგ“, — განაცხადა რეზო ჯორბენაძემ.

აკადემიური საბჭოს წევრის ზურაბ დავითაშვილის განცხადებით, რექტორის გადაწყვეტილებას არავითარი პირადი ან პარტიული მოტივი არ აქვს და დეკანის პოსტთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების მიზეზად დეკანის არჩევის წესის სამართლებრივ მოუწესრიგებლობას ასახელებს. მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე აკადემიური საბჭოს გეგმებში სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის საკითხი არ შედის. აღნიშნული თემა მიმდინარე წლის 8 იანვარს ჩანონწული აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შედიოდა, თუმცა მისი განხილვა სასამართლო პროცესების დასრულებამდე გადაიდო.

„პიროვნულად რეზო ჯორბენაძის საინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, ძალიან კარგი და დადებითი პიროვნებაა. აქ მოხდა გაუგებრობა, ფაკულტეტის მიერ მიღებული დებულება შეუსაბამობაში აღმოჩნდა ძველ წესდებთან, რომელსაც ძალა დაკარგული არ აქვს. ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ ჩვენთვის მეორე მომენტი უფრო მნიშვნელოვანია იყო. დეკანის არჩევნებზე საფაკულტეტო საბჭოს წევრების უმრავლესობამ მონაწილეობა არ მიიღო და ეს უკვე თავისთავად არაჯანსაღი მდგომარეობაა. ვფიქრობ, ერთგვარად მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს, რადგან აკადემიურმა საბჭომ ანდრო ბარნოვის კანდიდატურა დეკანობის კანდიდატად არ დაამტკიცა. ჩათვალეს, რომ მათ არჩევნების უფლება შეეზღუდათ და, შედეგად, საბჭოს 27 წევრიდან არჩევნებზე მხოლოდ 11 მივიდა. ეკორუმის შეკრება სტუდენტების ხარჯზე მოხდა. თსუ-ის აკადემიური საბჭო მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში დაამტკიცებს წესდებას, რომელიც დეკანის არჩევის წესს დაარეგულირებს“, — გვითხრა აკადემიური საბჭოს წევრმა ზურაბ დავითაშვილმა.

სერგი კაპანაძე სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად 6 თვის ვადით დაინიშნა. ეს არის მაქსიმალური დრო, რომლის განმავლობაშიც სასამართლოს გზით უნდა გაირკვეს — ითვლება თუ არა რეზო ჯორბენაძე კანონიერად არჩეულ დეკანად თუ აუცილებელია ფაკულტეტზე ხელახალი არჩევნების ჩატარება.

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ვითარების



სერგი კაპანაძე

შეფასება და სამომავლო გეგმებზე საუბარი ვთხოვეთ ამავე ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს სერგი კაპანაძეს.

„სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა რექტორმა შემომთავაზა და ბევრი ოქროს შემდეგ დავეთანხმე. ვეცდები, რომ ფაკულტეტზე ვითარება დავარეგულირო და თავად არ გავხვდეთ დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავების მიზეზს. ამჟამად საქმე სასამართლოშია, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება. სასამართლოზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუკი დეკანის ახალი არჩევნები დაინიშნება, მონაწილეობის მიღებას ვგეგმავ. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში გავიმარჯვებ, გარკვეულ ცვლილებებს განვახორციელებ. უპირველესი ამოცანად მიმაჩნია დეცენტრალიზაცია ფაკულტეტის დონეზე. უნდა შეიქმნას დეპარტამენტები და, კიდევ, რაც მთავარია, პროფესურა უნდა წყვეტდეს ძალიან ბევრ საკითხს, დეკანი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია კი ამ გადაწყვეტილებების აღსრულებას ხელს უნდა უწყობდეს. ბუნებრივია, ფაკულტეტზე უნდა მოქმედდეს გამართული მენეჯმენტი. დეკანის ფუნქცია, პირელ რიგში, ამ პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღება უნდა იყოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, ფაკულტეტის დეპარტამენტებს შორის მედიატორის ფუნქციაც შეუძლია შეითავსოს. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის განხორციელებაც აუცილებლად მიმაჩნია, სტუდენტებისთვის ბიუროკრატიული წინააღმდეგობის მოხსნაა. საქართველოში ძალიან ბევრი სერვისი გადავიდა, მარტივად რომ ვთქვათ, „იუსტიციის სახლის მოდელზე“. დაახლოებით ასეთი რამის გაკეთება აქაც შეიძლება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს პროფესორის, სტუდენტების და ადმინისტრაციის ინტერესების გათვალისწინებით. ვფიქრობ, რომ შევძლებ ფაკულტეტზე ვითარება გავაუმჯობესო, რადგან აქ მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს და არსებული პრობლემების შესახებაც ინფორმაციას ვფლობ“, — აცხადებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი სერგი კაპანაძე.

ბაირონი საქართველოში „დაბრუნდა“

შურთსია ბაროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 იანვარს ინგლისელი პოეტის ლორდ ბაირონის 225 წლისთავისადმი მიძღვნილი საინფორმაციო საღამო განსაკუთრებულად აღინიშნა.

საზეიმო ღონისძიებას დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, იტალიის ელჩები და დიპლომატები დაესწრნენ. საღამოს ოფიციალური ნაწილი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანი გახსნა, რომელმაც ინგლისელი პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა, მადლობა გადაუხადა მონაწილე სტუმრებს და საქართველოში „ბაირონის საზოგადოების“ პრეზიდენტს, ბაირონის სკოლის დამაარსებელს, თსუ-ის პროფესორს ინესა მერაბიშვილს საქართველოში ბაირონის ცოდნის განვითარებისა და მისი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის.

ღონისძიება გაიხსნა თსუ-ის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ტელე-კინო ხელოვნების მიმართულების პედაგოგის, რეჟისორის ნინო გელოვანისა და ამავე ფაკულტეტის სტუდენტის იზა თითბერიძის ფილმით (ხელმძღვანელი მერაბ კოკოჩაშვილი) — „ინესა მერაბიშვილი, როგორც ბაირონის მკვლევარი“,



ასევე გაიმართა ლორდ ბაირონის ორენოვანი ლინგვისტური კრებულის პრეზენტაცია, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ინესა მერაბიშვილმა. კრებულში შესულია მთარგმნელის კვლევა „ბაირონი და საქართველო“.

„მსოფლიო მოქალაქე“ და თავისუფლებისთვის მებრძოლი პოეტი, რომელმაც 36 წლის სიცოცხლის მანძილზე ასაკში მრავალი ქვეყანა მოინახულა. იგი თავგანწირვით იბრძოდა იტალიის, საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლების იდეას ქადაგებდა.



რამაზ ქურდაძე პოლანდიელი ქართულ ენას აზიარა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლეიფენის უნივერსიტეტის შორის საქმიან ურთიერთობას ჯერ კიდევ ორი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ამ ორ სწავლებელს დასწრეობაში შორის მემორანდუმი გაფორმდა. სწორედ მაშინ გადაწყდა ლეიფენის უნივერსიტეტში ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრის დაარსება, სადაც ქართველი მეცნიერები ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის კურსებს წაიკითხავენ. ეს პატივი პირველად თსუ-ის პროფესორ რამაზ ქურდაძეს ხვდა წილად, რომელიც საქართველოში 55-დღიანი მივლინების შემდეგ დაბრუნდა და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

— კათედრის ოფიციალური, საზეიმო გახსნის ცერემონია 2012 წლის 23 მარტს, ნიდერლანდების სამეფოში, ლეიფენის უნივერსიტეტის უძველეს შენობაში გაიმართა, რომელსაც თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანილი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა-ელისაბედ რულოვი, ლეიფენის უნივერსიტეტის რექტორი პოლ ვანდერჰაიდენი, ლეიფენის ქალაქის მერი და სხვები დაესწრნენ. მონაწილე სტუმრებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოეწვეთათ, რადგან იმ პერიოდში დარტმუთის კოლეჯში ვიმყოფებოდი როგორც „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული ვინაიდან თსუ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პირველი სალექციო კურსი მე უნდა წამეკითხა, კათედრის გახსნის ცერემონიაზე მეტად საპასუხისმგებლო დავალბა დამეკისრა — საკმაოდ შეზღუდულ დროში (20 წუთში) საქართველოს შესახებ პრეზენტაცია უნდა წარმოემდგინა.

— როგორც საუბარში ახსენეთ, ლეიფენის უნივერსიტეტი ევროპის ერთერთ უძველესი სასწავლებელია. მოგვიყვით, რა გსმენიათ მისი დაარსების შესახებ?

— ამ უნივერსიტეტის დაარსების ისტორია მეტად საინტერესოა. 1575 წელს ჰოლანდიის მეფემ ქალაქის მცხოვრებლებს ესპანელი დამპყრობლების დამარცხებისა და გმირული ბრძოლის სანაცვლოდ ჯილდო შესთავაზა — არჩევანი ასეთი იყო: ან ქალაქის 10 წლით გადასახადებისგან გათავისუფლება, ან უნივერსიტეტის დაარსება. მოსახლეობამ უნივერსიტეტი აირჩია. ეს, მართლაც, გონივრული ნაბიჯი იყო მათი მხრიდან. მას შემდეგ ლეიფენის უნივერსიტეტი ერთერთ პრესტიჟულ სასწავლებლად იქცა მთელ ევროპაში, ამიტომ ჩემთვის ამ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა დიდი პატივი და გამონევა იყო.

— რამდენად დიდი იყო პოლანდიელი სტუდენტების მხრიდან დაინტერესება ქართული ენის კურსის მიმართ? რა სირთულეები შეეხებათ სწავლების პროცესში?

— დაინტერესება მართლაც დიდი იყო. ეს იმიტომ იყო განპირობებული, რომ საქართველოს პირველი ლედი პოლანდიელია და ამიტომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მათ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ ჩვენი ქვეყნის შესახებ. კურსის მოსმენის სურვილიც უფრო მეტმა გამოთქვა, ვიდრე ამერიკაში. ამ და კიდევ სხვა ფაქტორებმა განაპირობა იმ სილაბუსის შეცვლა, რომელიც ამერიკაში შევიმუშავე და რომლის მიხედვითაც პოლანდიაში უნდა მესწავლებინა. საბოლოოდ, სილაბუსი ლეიფენის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სასწავლო გეგმების მოთხოვნების მიხედვით შევადგინე. ამასთან, პოლანდიაში კურსის მსმენელთა შემადგენლობა საკმაოდ განსხვავებული იყო: 32 სტუდენტიდან ზოგი ლინგვისტი, ზოგი ისტორიკოსი, ზოგიც სამართალმცოდნე იყო. ისეთი სტუდენტებიც მყავდა, რომლებიც, უბრალოდ, ეგზოტიკის მოყვარულნი იყვნენ. ქართული ენის კურსი, ჩვეულებრივ, კრედიტებში ეთვლებოდა. აღნიშნული პროგრამა ლეიფენის უნივერსიტეტის რუსეთის, ევრაზიის, აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებაში შედიოდა, რომელსაც პროფესორი იოსტ სხააკენი ხელმძღვანელობდა.

— როგორ მიმდინარეობდა სწავლების პროცესი?

— ჩემდა გასაოცრად, თავდაპირველად ლექციების წასაკითხად კვირაში ერთი საათი შემომთავაზეს. ამ პირობაზე არ დავთანხმდი, რადგან ასეთ მცირე დროში სწავლება შედეგის მომცემი არ იქნებოდა და საათების დამატება მოვითხოვე. ბოლოს შევთანხმდით, რომ ლექციებს კვირაში 2-ჯერ წავითხავდი, რასაც 4 საოფისე საათიც ემატებოდა, რომელთაც სტუდენტები სასადროს აცდენდნენ და ხანდახან უფრო მეტ

ხანსაც რჩებდნენ, ვიდრე ეს საოფისე საათებით იყო გათვალისწინებული.

ალსანიშნავია, რომ მათ შემომთავაზეს ჯორჯ ჰიუიტის წიგნით მესწავლებინა ქართული ლეიფენის უნივერსიტეტში. მე, რა თქმა უნდა, ამაზე უარი ვუთხარი, არა იმიტომ, რომ ჯორჯ ჰიუიტი თავისი მეტად არაკორექტული და ზოგჯერ არასწორი პოლიტიკური დამოკიდებულებითაა ცნობილი საქართველოს მიმართ, რასაც ამავე სახელმძღვანელოშიც დაუფარავად ავლენს, არამედ იმიტომ, რომ ჯორჯ ჰიუიტის წიგნში ქართულის გაუმართავი, მცდარი ფორმები დიალოგებსა და სავარჯიშოებში მოცემული. ცხადია, ამ მცდარი ფორმებით პოლანდიელებს ქართულს ვერ ვასწავლიდი. მათი სურვილი იყო — ჩემს სალექციო კურსსა და ქართველი ავტორის მიერ დანერგულ წიგნთან ერთად რომელიმე ინგლისურენოვანი ცნობილი ავტორის წიგნით მესწავლებინა ქართული. თავდაპირველად, სწორედ ამიტომ მთხოვეს ჰიუიტის წიგნის სწავლა, მე კი მათ ჰიუიტის წიგნის ნაცვლად ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ზოვარდ არონსონის წიგნი „Georgian, A Reading Grammar“ შევთავაზე. ამის გარდა, რა თქმა უნდა, ვიყენებდი ქართველი ავტორების: მერი ნიკოლაიშვილისა და ნინო ბაკრატიონ-დავითაშვილის წიგნს Georgian Language (Intensive Course) და ჩემს სალექციო კურსს თავისი სავარჯიშოებით.

სალექციო კურსი 1 ნოემბერს დაიწყო და 13 დეკემბერს დასრულდა. ძალიან მაღალი იყო სტუდენტთა აქტივობა. განსაკუთრებით დიდხანს გრძელდებოდა საოფისე საათები, რომელიც, მართალია, შეზღუდულია, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, რადგან ძალიან დიდი იყო იქაური სტუდენტების დაინტერესება ქართული ენისადმი.

— ენის საფუძვლიანი სწავლებისთვის რამდენად საკმარისი იყო ლეიფენის უნივერსიტეტში ასწავლიდით?

— სალექციო კურსს ერქვა „ქართული 1 — ქართულის დამწყებთათვის“. ამ მოკლე დროში შევეცადე, მათთვის საბაზისო ცოდნა მიმეცა. პირველი სამი ლექცია დაეთმო ანბანს, ვიყენებდი სპეციალურად ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის ჩემ მიერ მომზადებულ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“. ანბანს თან ახლდა ხმოვანი ფაილები და სტუ-



რამაზ ქურდაძე

დენტს შეეძლო სახლშიც მოესმინა იგივე მასალა. სირთულეს წარმოადგენდა, როგორც უკვე აღვნიშნე, ისიც, რომ შერეული ჯგუფი იყო — ბაკალავრებთან ერთად მაგისტრანტებიც სწავლობდნენ და, ბუნებრივია, მაგისტრანტებისთვის განსხვავებული, უფრო ღრმა მასალის მიწოდება იყო საჭირო. სულ 13 ლექცია წავიკითხე. ეს მათთვის გასაღები იყო ქართული ენის დაუფლებისათვის.

სტუდენტები ძალიან მონდომებულნი იყვნენ და ბევრმა მათგანმა გამოთქვა ქართული ენის სწავლის გაგრძელების სურვილი. ამ მიზნით, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, ზოგიერთი საქართველოში ჩამოსვლასაც გეგმავს.

— მომავალში რა მიმართულებით გავგრძელებს კათედრა მუშაობას ლეიფენის უნივერსიტეტში?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამჯერად ლეიფენის უნივერსიტეტში კათედრაზე ელოდებიან კულტურის სპეციალისტს, შემდგომში კი — ისტორიის სპეციალისტს. ასე რომ, ამ კუთხით მუშაობა გრძელდება და ეს ორივე მხარეს სასიკეთოდ წაადგება.

მინდა აღვნიშნო, რომ ლეიფენის უნივერსიტეტში ყოფნის დროს ჩემი სპეციალური ელოდებიან კურსის გარდა, პროფესორმა სხააკენმა შემომთავაზა რუსული განყოფილების სტუდენტებისათვის გამეკეთებინა პრეზენტაცია — „ენობრივი სიტუაცია კავკასიაში“, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

— როგორ მივიღოთ პოლანდიელმა სტუდენტებმა?

— ძალიან კარგად თავდაპირველად ჩემთვისაც არ იყო ადვილი სხვა გარემოსთან შეგუება, მათთვისაც უცხო ვიყავი და როდესაც უკვე ერთმანეთს დავუახლოვეთ, სწორედ მაშინ დავემორდით.

საგულისხმოა, რომ საზღვარგარეთ სტუდენტს აუცილებლად სახელი უნდა მიმართო. მეც გადავწყვიტე, რომ მათთან ურთიერთობა მესწავლა. ერთხელ სტუდენტის სახელი შემეშალა, მან იმავე საღამოს მომწერა და თავაზიანად მიმანიშნა, როგორ უნდა გამომეთქვა მისი სახელი სწორად.

დღესაც ყველას დიდი სიყვარულით და სითბოთი ვისხენებ, განსაკუთრებით დამამახსოვრდა სოფია, რომელმაც ქართული სახელის რედუქცია შესანიშნავად ისწავლა; ასევე, ემილი, იპაიანი და სხვა სტუდენტები... ჩვენ ერთმანეთთან საკმაოდ გულგულად ურთიერთობა გვქონდა. ერთხელ ემილი „გუგლიდან“ ამოიწერა სიტყვა „საუბედუროდ“, რომელიც მე არ მისწავლებია და ქართულად დანერგა წინადადება — „საუბედუროდ, არ მყავს მეგობარი გოგონა“. მე მანინც გამიხარდა, რომ მან ქართულად გამოხატა თავისი გულისტკივილი. დარწმუნებული ვარ, რომ მას აუცილებლად ეყოლება მეგობარი გოგონა, რადგან ეს დიდი და მსუქანი, კეთილი ბიჭი ძალიან კარგი ადამიანია. ძალიან მიხარია და მუდამყავს, რომ მე და ჩემი პოლანდიელი სტუდენტები ჩემი მეგობრებად დავემორდით ერთმანეთს.

— ბატონო რამაზ, თქვენ აშშ-შიც კითხულობთ ლექციებს. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— ამერიკაში „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ პროგრამით ორჯერ უკვე ვიყავი დარტმუთის კოლეჯში. პროგრამა საშენიანია. ამ პროგრამით ჩვენი უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსის (ენა და კულტურა — ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტები) შემდგომ განვითარებაზე ვმუშაობ და პარალელურად ვასწავლი ქართულს დარტმუთის კოლეჯში. ამჟამად მესამე, დამამთავრებელ ეტაპზე მინეის ამერიკაში გამგზავრება, სადაც ქართული კურსის სწავლება უკვე დაგეგმილია.

მომავალში
შურთსია ბაროშვილი

მეცნიერთა ჯგუფი პეტრე მელიქიშვილის სახელობითი პრემიით დაჯილდოვდა

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულენის მეცნიერთა ჯგუფმა, პროფესორების შოთა სამსონიას, იოსებ ჩიკვაიძის და მარინა ტრაპაიძის, ასევე, თსუ-ის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლების ნანა ჩიკვაიძის (თარგამაძე), დალი ყაჯრიშვილის და დავით ზურაბიშვილის შემადგენლობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია მიიღო.

პრემია გაიცა 2012 წლის ოქტომბერში და იგი ლაურეატებს მიენიჭათ ნაპრობა ციკლისთვის „აზოტსემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე არომატული ჰეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“, რომელშიც შევიდა 2007-2011 წლებში თსუ-ის ორგანული ქიმიის მიმართულენაზე და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევები. საკონკურსო ნარდგენილი ყველა გამოკვლევა გაერთიანებული იყო ერთი სამეცნიერო იდეის გარშე-

მო, იდეა კი ეყრდნობოდა ბუნებაში ინდოლემცველი ნაერთების უნიკალურ როლს, სახელოდობ, ცოცხალ ორგანიზმში იონიზაციის უნარის არქონას, რაც განაპირობებს მისი ნარმოებულების ფართო გამოყენებას სამედიცინო მიზნებისთვის.

ნაშრომთა ციკლის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ამ ჯგუფის მიერ ადრე შექმნილი არომატული ჰეტეროციკლური სისტემების ახალი ნაწარმების სინთეზს. პუბლიკაციებში გაანალიზებულია ამ ნაერთების სინთეზის ახალი მეთოდები, რამდენიმე ცნობილი მეთოდის გაუმჯობესება და მათი ოპტიმიზაცია. სამეცნიერო კვლევებში, სინთეზის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია ულტრაბერტული აქტივაციის მეთოდიც. სინთეზირებულ ნივთიერებათა სტრუქტურა დადგენილია ინფრარითული, ულტრაიისფერი და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიით და მაღალი გარეგავადობის მასსპექტრომეტრიით.

ნაშრომებს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს ის ფაქტი, რომ მათში ნარმოადგენილია არაერთი საყურადღებო სამეცნიერო მონაცემი, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ფუნდამენტური, ასევე, პრაქტიკული ხასიათის აქტუალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.

საკონკურსო 5-წლიანი პერიოდში მეცნიერთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 34 სამეცნიერო პუბლიკაციის დიდი ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალებსა და ავტორიტეტულ გამოცემებში, ნაწილი — რესპუბლიკურ ჟურნალებში. აღსანიშნავია გამოქვეყნებული „ლაბერტის“ მიერ გერმანულ ენაზე დაბეჭდილი თ. დოროშენკოს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც პროფესორ შოთა სამსონიასა და პროფესორ იოსებ ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა.

იოსებ ჩიკვაიძე, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი:

— საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომებში შესულია გამოკვლევები, რომლებიც თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის მიმართულენის ლაბორატორიაში შესრულებული. მათ შორისაა როგორც ფუნდამენტური, ასევე, პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩატარებული ქიმიური გარდაქმნების თავისებურებების დადგენა და საყარული მექანიზმების ახლებური ინტერპრეტაცია. რაც შეეხება გამოყენებით მიმართულებას, ეს გა-

მოკვლევები მნიშვნელოვანია ახალი ფოტოქრომული და ჰოლოგრაფიული მასალების შექმნისათვის. გარდა ამისა, სინთეზირებულ ნაერთებს შორის გამოვლენილია ანტივირუსული, ანტიმიკრობული, ანტიკანცეროგენული აქტიურობის მქონე ნივთიერებები, რაც ასევე მნიშვნელოვანია ახალი თაობის სამკურნალო პრეპარატების შექმნისთვის.

შოთა სამსონია, თსუ-ის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობითი აკადემიური პრემია ერთერთი ყველაზე პრესტიჟულია იმ პრემიებს შორის, რომლებსაც მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გასცემს. ეს პრემია ჩემთვის არამარტად სასიხარულოა, რადგანაც თავის დროზე ვიყავი მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიატი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის მფლობელი. ეს უკვე მესამე პრემიაა, რომელიც ამ მართლაც დიდი მეცნიერის სახელს უკავშირდება და რომელიც ჩვენი მიმართულების მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მომინიჭა.



სიმბოლურია ისიც, რომ ის მიმართულენა და კათედრა, სადაც ვმუშაობ, მისი დაარსებულა. მე დღესაც მის მაგიდასთან ვზივარ და მოხარული ვარ, რომ მის საქმეს ვაგრძელებ.

ორგანული ქიმიის მიმართულენისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები დღესაც აქტიურად ატარებენ თანამედროვე დონის სამეცნიერო გამოკვლევებს. პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია კი მათი მოღვაწეობის აღიარებაა და, ცხადია, მომავალი წარმატებებისთვის მეტი სტიმული გახდება.



სტუდენტები თსუ-ს სამართლებრივი სტატუსის შეცვლას ითხოვენ



ნათო მობლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის ინიციატივით გამოდის. ერთი წლის წინ თსუ-ს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად, არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ამის შედეგად უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური, ადმინისტრაციული და აკადემიური ავტონომია დაირღვა. სტუდენტების ინიციატივა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ისევ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის აღდგენას უკავშირდება. ამ მიზნით მათ უკვე წამოიწყეს სამოქალაქო კამპანია „Tავისუფალი“, რომელიც ლევან მიქელაძის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია კანონპროექტის — „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ინიცირება, რომლის წარდგენის უფლებას მოსაპოვებლადაც ამომრჩევლის არანაკლებ 30 000 ხელმოწერის შეგროვებაა საჭირო. 17 იანვარს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საინიციატივო ჯგუფი ოფიციალურად დაარეგისტრირა და კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის (ფურცლის) ნიმუში გადასცა. ხელმოწერების შეგროვების

პროცესი უკვე დაწყებულია და ამ დროისთვის მათი რაოდენობა, დაახლოებით, 5 000-ს აღწევს. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფმა 15 იანვარს სამოქალაქო კამპანიის „Tავისუფალი“-ს ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის — „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ექსპერტები, სტუდენტები და მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „უნივერსიტეტის სტატუსის სამართლებრივი საკითხებთან დაკავშირებით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფი, დაახლოებით, ორი თვეა მუშაობს. ჩვენ გავაანალიზეთ რა უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, უნივერსიტეტის წესდება და ასე შემდეგ, მივიღეთ დასკვნა, რომ პირველი და ყველაზე სერიოზული პრობლემა უნივერსიტეტის სტატუსის უკავშირდება. როდესაც უნივერსიტეტი გარდაიქმნა არაკომერციული იურიდიული პირად, სახელმწიფოს მხრიდან უხეშად დაიწყო მისი საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ავტონომია. ამას ახორციელებს რეგენტთა საბჭო, რომელიც არის სახელმწიფო სტრუქტურა და დამატებით ბიუროკრატიული ბარიერი უნივერსიტეტისათვის. რეგენტთა საბჭო პირდაპირ წესდის წინააღმდეგობას უწივს, ამიტომ უნივერსიტე-

ტის ბიუჯეტს, რაც ძალიან თვალნათელი მაგალითია იმისა, რომ სწორედ საბჭოს მიერ ხდება უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვა. ჩვენ საუბარი გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ხელახლა ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ცვლილება თსუ-ს ავტომატურად გამოიყვანს რეგენტთა საბჭოს დაექვემდებარებიდან. იმედი გვაქვს, რომ განხორციელებული ცვლილებების კვლავი კვლამ დაიწყო უნივერსიტეტის სტატუსის სუბსიდირება საბიუჯეტო სახსრებიდან. ეს შეიძლება 2013 წელს ვერ მოხერხდეს, რადგან ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, მაგრამ 2014-2015 წლებისთვის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ მას დამატებითი ფინანსური სუბსიდირება მიეცეს. ეს იქნება გარანტი იმისა, რომ უნივერსიტეტს აღარ მოუწევს თავისი ქონებით ვაჭრობა, რაც ნიშნავს გამართული სასწავლო და სამეცნიერო კვლევების პროცესის უზრუნველყოფას“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრმა თორნიკე ჭიჭიშვილმა. პრეზენტაციაზე საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ბოლონის პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებზეც გაამახვილეს ყურადღება. მათი განცხადებით, როდესაც რეგენტთა საბჭოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საკითხებში ჩარევის უფლებამოსილება მიენიჭა, ერთდროულად ფუნდამენტური პრინციპი დაირღვა.

უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხების მიმართულებით სტუდენტების აქტივობები და კონკრეტული ქმედებები პრეზენტაციაზე დამსწრე ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს, თუმცა აქვე გამოთქვეს სურვილი, რომ მათ მიერ მომზადებული კანონპროექტი გამოქვეყნებული და დანერგული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს. ბოლო ინფორმაციით, იურიდიული ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფის მიერ კამპანია „Tავისუფალი“-ს ფარგლებში ინიცირებული კანონპროექტი უკვე გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე — „საკანონმდებლო მაცნე“. „პირადად ჩემი, როგორც ერთი ექსპერტის და ერთი ადამიანის ინტერესი იქნებოდა, რომ კარგად გავცნობოდი ამ კანონპროექტს და რატომ? კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში დაფიქსირებული იყო რამდენიმე პრიორიტეტული დებულება და მათ შორის ერთერთი საკითხი გახლდათ საკანონმდებლო დაწესებულებების დაფუძნება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით და რეგენტთა საბჭოს გაუქმება. როდესაც ეს დოკუმენტი მზადდებოდა, ბუნებრივია, მას წინ უძღოდა სიღრმისეული ანალიზი. ჩვენ აქვე გვიწერია, რომ გაიზრდება უნივერსიტეტის ავტონომიის ფარგლები როგორც ფინანსური, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებით. დეტალური საუბარი ნამდვილად საჭიროა და მე, როგორც ერთი ექსპერტი, მზად ვარ, ახალგაზრდებ-

თან ვითანამშრომლო“, — განაცხადა ექსპერტმა თამარ ზაალიშვილმა. ლევან მიქელაძის ფონდი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სამოქალაქო კამპანიას — „Tავისუფალი“ მხარდაჭერას ამერიკული დონორი ორგანიზაციიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიღებული გრანტის ფარგლებში უწევს. მათ სპეციალური ტრენინგების ჩატარების შემდეგ ფონდში შეტანილ სამოქალაქო განაცხადებს შორის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის საკანონმდებლო პროექტი შეარჩიეს, რომელიც წარმოდგენილ კრიტერიუმებს — პრობლემის აქტუალობას და ლოგიკურ დასაბუთებას ყველაზე მეტად შეესაბამებოდა. ფონდის წარმომადგენლები, ამავე დროს, საზგასმით აღნიშნავენ, რომ პროექტის შინაარსი მათი ორგანიზაციის პოზიციებს არ გამოხატავს და მათი მიზანი ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა გახლავთ. სამოქალაქო კამპანიის „Tავისუფალი“ ფარგლებში კანონპროექტის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიცირებისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვების პროცესი ამ დროისთვის მხოლოდ თბილისის მასშტაბით მიმდინარეობს, თუმცა რამდენიმე დღეში კამპანიის დაწყება ბათუმში, ქუთაისსა და თელავშიც იგეგმება. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფს 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერის შესაგროვებლად 45 დღის ვადა აქვს.

სტუდენტებთან შეხვედრები მარტიდან გაბრძნობა

საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვია ჟორჟოლიანი, რომელიც სტუდენტებთან აქტიური ინტერაქციით გამოირჩევა. იგი ხშირად მართავს მათთან შეხვედრებს და დისკუსიებს, რომელიც საზოგადოებრივად საინტერესო თემებს და საუნივერსიტეტო მოწყობის საკითხებს შეეხება. გვესაუბრება ბატონი ვია ჟორჟოლიანი, რომელიც სტუდენტებს კვლავ პარლამენტთან შუამდგომლობას პირადობს.



ისში, შეხვედრენ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს და სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარეს. ეს ახალგაზრდები, ძირითადად, ინტერესდებიან ეკონომიკისა და სოციალური სფეროებით და იმედი მაქვს, თავის მოსარებებს დააფიქსირებენ ყველა იმ საკითხზე, რაც ჩვენი საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ხელს. — სტუდენტთა მიერ ხომ არ დასმულა საკითხი რეგენტთა საბჭოს შეცვლის, გაუქმების ან რეფორმირების კუთხით? — სტუდენტები ამზადებენ თავიანთ კონცეფციას, თუ როგორ წარმოუდგენიათ ამ საკითხების მოგვარება. რაც შეეხება რეგენტთა საბჭოს, ასეთი საკითხები ცალკეულად არ განიხილება. ზოგადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპის უმაღლესი სასწავლებლების რეფორმირებაზე თავდაც ბევრი მიფიქრია და სამინისტროშიც აქტიურად მიდის მუშაობა. ეს არ არის ნაქარვევად გადასაწყვეტი საკითხი. ამას სჭირდება დაფიქრება და გაზრებული გადაწყვეტა. რეფორმა, რომელიც განხორციელდა საქართველოში, ძირითადად ეყრდნობოდა გარეგნულ და ფორმალურ კრიტერიუმებს და შინაარსი ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ამიტომ მგონია, რომ აქცენტი უნდა გადავიკეთოთ შინაარსზე. მაგალითად, არავის დაუსაბუთებია და განუხილავს, რატომ უნივერსიტეტი ასე მოწყობილი? არავითარი არგუმენტი არ არსებობს იმისა, თუ რატომ

უნდა იყოს უნივერსიტეტი მაინც-და მაინც 6 და არა 20 ფაკულტეტი, რატომ ერთ ფაკულტეტში გაერთიანებული ესა თუ ის მიმართულება და არა სხვა და ა.შ. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ საფაკულტეტო საბჭოებზე მიმდინარეობს მსჯელობა არა სამეცნიერო საკითხებზე, არამედ იმაზე, თუ ვის რამდენი ხელფასი აქვს, ვინ მოვიდა სხდომაზე და ა.შ. საფაკულტეტო საბჭოები მონყვევითი არიან შინაარსობრივ მსჯელობას. შედეგად, სწავლების ხარისხი არ უმჯობესდება. მართალია, არიან პროფესორები, რომელიც ინდივიდუალურად ახერხებენ მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას და არიან სტუდენტებიც, რომლებიც თავადაც კარგად აგნებენ, რა შეისწავლონ, მაგრამ უნივერსიტეტი მარტო ეს ხომ არ არის? ასე რომ იყოს, უმაღლესი სასწავლებელი საერთოდ აღარ იქნებოდა საჭირო. ამიტომ ამ საკითხებზე დაფიქრება და კარგი ანალიზი გასაკეთებელი და უახლოეს მომავალში, ალბათ, ეს საკითხიც დაისმება. სამუშაო ბევრია, სტუდენტებიც მზად არიან საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობისა და განხილვისთვის და იმედი მაქვს, მარტიდან მათი ჩართულობა ამ პროცესში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. რაც შეეხება მე, მზად ვარ, ნებისმიერი მათი მოთხოვნა და წინადადება მივიტანო პარლამენტამდე და, როგორც ვთქვი, ვიყო მათი წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში.

მაია ტორაძე

— ბატონო ვიორჯი, მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდით, გაქვთ თუ არა საშუალება, ისეთივე ინტენსივობით შეხვედრებდეთ სტუდენტებს, როგორც მანამდე ხვდებოდით? — სტუდენტებთან შეხვედრებს, რა თქმა უნდა, ვაგრძელებ, თუმცა სასურველი ინტენსივობით ეს ვეღარ ხერხდება, რადგან, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრს, მუშაობა ძირითადად ქუთაისში მიწევს. ამასთან, პარლამენტი ამ ეტაპზე ძალიან დატვირთულია სასესიო კვირებით. ვვარაუდობ, რომ მარტიდან საკვირისი დრო მექნება შეხვედრებისთვის არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ ყველა იმ დაინტერესებულ ჯგუფთან, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ. თუმცა, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, მაინც მოვახერხებ რამდენიმე შეხვედრა სტუდენტურ ჯგუფების კოორდინატორებთან და განვსაზღვრეთ ის მიმართულებები, რომელთა განხილვაშიც

ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვებიან. — კონკრეტულად რა მიმართულებებზე იყო საუბარი? — ვისაუბრეთ როგორც განათლების სფეროს ორგანიზებაზე, ასევე, საზოგადოებრივად საინტერესო სხვა საკითხებზეც. მე აქტიურად ვთანამშრომლობ განათლების სამინისტროსთან და ვხვდები იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროსთან არიან დაკავშირებული. მათ შორის, შეხვედრა მქონდა განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიასთან, რომელსაც ცნობილი მეცნიერი ვია დავაი ხელმძღვანელობს. მიმაჩნია, რომ ამ დონის ინტელექტუალებისა და საზოგადოებრივად მოაზროვნე ადამიანების ჩართვას განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში სერიოზული შედეგები მოჰყვება. ამ შეხვედრებში ჩვენი სტუდენტებიც მონაწილეობენ და მომავალში ისინი ჩაერთვებიან არა მხოლოდ უმაღლესი განათლების, არამედ მეცნიერების ორგანიზების და სასკოლო რეფორმის შინაარსის განხილვებშიც. ამას გარდა, საზოგადოებამ

იცის, რომ მომზადდა პრომის სრულად ახალი ტიპის კოდექსი და სტუდენტები ამ პროცესშიც არიან ჩართულები. — სტუდენტთა რა ნაწილი მონაწილეობს შეხვედრებში? რომელი ფაკულტეტი უფრო აქტიურია და ხომ არ არიან ისინი რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიაზე გაყვანილები? — არავითარი პოლიტიკური იდეოლოგია! ესენი არიან ის სტუდენტები, რომლებიც ამ საკითხების მოგვარებით ზოგადად ინტერესდებიან. მათ შორის არიან როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც. სხვათა შორის, საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების განხილვა-გაანალიზებაში ჩართული არიან ის ახალგაზრდებიც, რომლებიც საზოგადოებრივად იღებენ განათლებას. მათ მოახერხეს თვითორგანიზება, ჩამოვიდნენ ქუთა-



გამორჩენილი მეცნიერი, ღირსეული პედაგოგი და სანიმუშო პიროვნება

თამარ ლაღიანი

გამორჩენილი იურისტს, სისხლის სამართლის მეცნიერების სამაგალითო მკვლევარს, პუბლიცისტს, ღირსეულ პედაგოგს და სანიმუშო პიროვნებას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს ითარ გამყრელიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა 23 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში. ღონისძიების ორგანიზატორი იყო თინათინ ნერეთლის სახელობის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელსაც

ხელმძღვანელობდნენ სამართლის დოქტორები, პროფესორები ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურაგია. ღონისძიებას უძღვებოდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მინდი უგრეხელიძე. საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კვიციანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ზაზა

რუხაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტუდენტები. მათ გამოხატეს მადლიერება იმ დიდი ღვაწლისთვის, რაც პროფესორმა ითარ გამყრელიძემ გასწია ჩვენი ქვეყნის, ახალგაზრდა თაობების, ქართული იურიდიული მეცნიერების საკეთილდღეოდ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა მეცნიერის დიდ დამსახურებასა და პიროვნულ ხიბლზე ისაუბრა და აღნიშნა: „ითარ გამყრელიძე ყოველთვის იყო გამორჩეული მეცნიერი, პედაგოგი და მოქალაქე, რომელიც სარგებლობდა სტუდენტების განსაკუთრებული სიყვარულით. გულითადად ვულოცავ მას დღევანდელ იუბილეს და ვუსურვებ, კიდევ დიდხანს ემსახუროს საყვარელ საქმეს“.

ითარ გამყრელიძე სისხლის სამართლის ერთერთი წამყვანი სპეციალისტი საქართველოში, მისი არაორდინარული და ეპოქის წინამსწრები შეხედულებები ხშირად იწვევდა ფართო დებატებს, რაც საბოლოოდ ქართული იურიდიული აზროვნების პროგრესულ განვითარებას უწყობდა ხელს. ბატონი ითარის მოღვაწეობა არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც; მისი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე მუშაობისას ხშირად გადაწყვეტიდა სამართლებრივი სფეროს წარმომადგენელ-

თათვის. ბატონმა ითარმა საკუთარი მონოგრაფია მხოლოდ სტუდენტობის წლებში აღმოაჩინა და მანამდე სერიოზულად არც კი უფიქრია იურიტიკობაზე. თუმცა, მიიღო თუ არა ასეთი გადაწყვეტილება, მთელი თავისი მონოგრაფია, ენერჯია და ძალისხმევა ჩააქსოვა ამ საქმეში. ბატონი ითარი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განაგებს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებას. ამ ინსტიტუტში, რომელიც უკვე 55 წელზე მეტია რაც არსებობს, როგორც ბატონმა ითარმა აღნიშნა, უზარმაზარი წვლილი შეიტანა ქართული იურიდიული აზროვნების ფორმირებაში. იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, თსუ-ის სოხუმის ფილიალში, ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის სემინარებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში; იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იყო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში; სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებელ კომისიაში. მოქმედ კოდექსს, ბატონი ითარი, „40-წლიანი მუშაობის შედეგს“ უწოდებს, რადგან ამ კოდექსის პროექტში აისახა ის საკითხები, რომლებსაც სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მისი მთელი არსებობის მანძილზე ამუშავებდნენ.



ერთერთი გამორჩენილი კანონმემოქმედი და ახალი თაობის აღზრდელი ჰყავს. მან პროფესორ თინათინ ნერეთლის ნაშრომებზე დაყრდნობით წინ წამოსწია ქართული სისხლის-სამართლებრივი აზროვნება. დანაშაულის სამნიშვნავანი სტრუქტურის საფუძველზე შეიმუშავა სისხლის-სამართლებრივი უმართლობის ცნება, რომლის საშუალებით ააგო დანაშაულში თანამონაწილეობის სისტემა. ამჟამად მოქმედში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ითარ გამყრელიძის წინადადებით შემოიღო ახალი სპეციალური ნორმა და დანაშაულის მსგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის. პროფესორმა ითარ გამყრელიძემ ქართულ

მე-9 გვირგვინი



ნიგნის თარო

„სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალევე კორპუსში 25 დეკემბერს გაიმართა სახელმძღვანელოს „სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“ პრეზენტაცია. წიგნი ითარგმნა ინგლისურიდან ბოლო, მე-6 გამოცემის (2011 წელი) მიხედვით და გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში, აშშ-ის საელჩოსა და უნივერსიტეტის ერთობლივი დაფინანსებით.

ბია. ამ წიგნით ისწავლით, თუ როგორ უნდა ამაღლდეთ სტატისტიკის უბრალო მომხმარებელზე მაღლა და გამოიყენოთ იგი რეალური სამყაროს შეცნობისათვის. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ ამერიკულ საზოგადოებასა და მსოფლიოში არსებული განსხვავებების ანალიზსა და გაცნობიერებაში. სტატისტიკა გვეხმარება იმ საკითხების სიღრმისეულ შესწავლაში, რაც ჩვენს რეალურ ცხოვრებას განსაზღვრავს“.



პრეზენტაციაზე სამეცნიერო რედაქტორმა, სრულმა პროფესორმა სიმონ გელაშვილმა გამოყო ამ სახელმძღვანელოს გამორჩეული მახასიათებლები, კერძოდ:

1. სტატისტიკური მეთოდოლოგია ინტეგრირებულია საზოგადოებისა და სოციალური მეცნიერების პრაქტიკული ინტერესების სფეროებთან. მასში ხაზგასმულია სტატისტიკური მეთოდების როლი სოციალური მეცნიერებების განვითარებაში. გარდა ამისა, წიგნში მოყვანილია კონკრეტული მაგალითები აშშ-ის სამთავრობო ანგარიშებიდან, მეცნიერთა ნაშრომებიდან და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების კვლევებიდან, რათა სტუდენტებისთვის ცხადი გაეხადოთ სტატისტიკური არგუმენტების მნიშვნელობა. „ჩვენ გვსურს ნათლად დავანახოთ სტუდენტებს, თუ როდენ მნიშვნელოვანია სოციალური საკითხების შესწავლა რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, სტატისტიკური დებულებებისა და მეთოდების გამოყენებით“.

2. ფოკუსირება მრავალფეროვნებაზე აშშ-ისა და მსოფლიოს მასშტაბით: წიგნში გამოკვეთილია აქცენტები რასობრივი, კლასობრივი და გენდერული ნიშნების არსებით როლზე სოციალური ტრენდების ჩამოყალიბებაში. სტატისტიკური მეთოდები ფართოდაა გამოყენებული როგორც აშშ-ში, ისე საზღვარგარეთ სოციალურ განსხვავებათა მრავალფეროვნების კვლევის პროცესში.

რომ 700-გვერდიანი წიგნის თარგმან-გამოცემა რეკორდულ დროში — სულ რაღაც 4 თვეში განხორციელდა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, სოციალური კვლევის რომელიც უნდა ავირჩიოთ, ტრადიციული თუ თვისებრივ ანალიზთან ინტეგრირებული, სოციალურ განსხვავებებზე თუ სოციალური ქცევის სხვა ასპექტებზე ორიენტირებული, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სტატისტიკური ოპერაციების განხორციელება საბაზისო სტატისტიკური ცნებებისა და მეთოდების ცოდნას მოითხოვს. ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა, რომ უკეთ გაცნობთ სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული აღწერილობითი და დასკვნითი სტატისტიკის არსენალს. ამასთან, რა თქმა უნდა, ადამიანურ ფაქტორზე ბევრია დამოკიდებული სტატისტიკური კვლევებისას. მხოლოდ აღნიშნულის გაცნობიერებით შეიძლება გახდეს სტატისტიკა სა-

სარგებლო იარაღი სოციალური მოვლენების შესასწავლად.

პრეზენტაციაზე გამოვლინდა რექტორმა ალექსანდრე კვიციანი, რომ თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა დიდად შეუწყობს ხელს შესაბამისი საგნების მაღალ დონეზე სწავლებას. „უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მიესალმება ასეთ ღონისძიებებს და მზად არის — მომავალშიც განახორციელოს მხარდაჭერა ასეთ ინიციატივებზე, მით უფრო, რომ ახლა უნივერსიტეტს უკვე გააჩნია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სტამბა,“ — აღნიშნა მან.

აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებას ფართო არეალი გააჩნია: მეთოდოლოგიურ საკითხებთან ერთად მასში მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრობრივი მონაცემებია მოტანილი და გაანალიზებული აშშ-ის სხვადასხვა ოფიციალური წყაროდან. ამდენად, იგი გამოადგება არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ მკვლევარებს და პრაქტიკოს სპეციალისტებსაც.

უჩა გოგივილი, ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

ამერიკელი პროფესორის როჯერ რიტვოს ლექცია-სემინარების კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საგანში „ორგანიზაციული ქცევა და მენეჯმენტი“ ლექცია-სემინარებს უძღვებოდა ამერიკელი პროფესორი და მკვლევარი როჯერ რიტვო. კურსი ჩატარდა ინგლისურ ენაზე და გაგრძელდა ერთი სემესტრის განმავლობაში.

ბული სტუდენტები სპეციალური სერტიფიკატებით დააჯილდოვეს. პროფესორი როჯერ რიტვო საქართველოს ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში სტუმრობდა. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამას აფინანსებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო საქართველოში მას ახორციელებს აშშ-ის საელჩო.

უჩა გოგივილი, ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი



მემორანდუმი

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ნიგნები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადაეცემა



როგორც საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი ილია მეორე ალნიშნა, წიგნი ჩვენი უპირველესი განვითარების საშუალება უნდა იყოს. მან თავის ქადაგებაში ახალგაზრდებს მოუწოდებდა, იმეგობრონ არა რადიოსთან, ტელევიზიას და ინტერნეტთან, არამედ წიგნთან...

თამარ ლალიანი

საზოგადოებრივ-რელიგიურმა ინტერნეტ ჟურნალმა „ამბიონმა“ გამოკითხვა ჩაატარა წიგნის მოყვარულ ახალგაზრდებში, რათა გაერკვია, ძირითადად რა ტიპის ლიტერატურას ანიჭებდნენ ისინი უპირატესობას. მარკესზე შეყვარებული თაობის დიდმა ნაწილმა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნები დაასახელა.

უნივერსიტეტის ინტერნეტებიდან გამომდინარე, თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალისთვის მოეწოდა წიგნების გამოფენა-გაყიდვა სპეციალური ფასდაკლებით. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ამ ლიტერატურით თავისუფალი სარგებლობის პრინციპი. ბიბლიოთეკა ორგანიზებას გაუწევს ახალი გამომცემების პრეზენტაციას. აქ უკვე გაიხსნა თარი, სადაც წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურა, რასაც ამიერიდან ყოველი ახალი წიგნიც დაემატება.

მემორანდუმის ფარგლებში მოხდა ასევე ელექტრონული წიგნების პრეზენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. თსუ-ის ადმინისტრაცია ახალგაზრდებს ინტელექტუალური განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს სთავაზობს, — განაცხადა ქალბატონმა ხათუნამ.

წარმატებების წელი

ირაკლი ხარჯავანიძე, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— გასული წელი კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისთვის საკმაოდ მრავალფეროვანი და დატვირთული იყო, როგორც სპორტული, ისე კულტურული ღონისძიებებით. დეპარტამენტის ორგანიზებით 2012 წლის 2,3, და 4 იანვარს თსუ-ის თეატრალურმა დასმა „სხვენი“ გამართა საახალწლო წვეულება თანამშრომელთა ბავშვებისათვის. აღსანიშნავია, რომ თეატრალური დასი „სხვენი“ პოპულარულია უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. სტუდენტურმა თეატრმა წარმოადგინა პრემიერა გ. კაჭარავას პიესის „განკითხვის დღე“, რომელიც შედგა 22-23 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში.

უკვე რამდენიმე წელია ანსამბლი „თსუ გორდელა“ მოღვაწეობს უნივერსიტეტში. მათ მოიპოვეს დიდი პოპულარობა და სიყვარული სტუდენტებსა და არა მარტო სტუდენტებს შორის. მიმდინარე წლის 27 აპრილს და 18 სექტემბერს „გორდელამ“ თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გამართა სოლო კონცერტი ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „უნივერსიტეტთან“ ერთად. „თსუ გორდელა“ მონაწილეობს საქართველოში გამართულ ფოლკლორულ კონცერტებში. აღსანიშნავია, რომ ანსამბლი მიმდინარე წლის 7-15 სექტემბერამდე იმყოფებოდა საფრანგეთში ქართულის სათვისტომოს მიხედვით, სადაც რამდენიმე წარმატებული სოლო კონცერტი გამართა.

წარმატებულად აგრძელებს ფუნქციონირებას უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“. ქორეოგრაფიულ ნიშში ჩართულია რამდენიმე ასეული სტუდენტი, სექციაში აგრეთვე ფუნქციონირებს ცეკვის შემსწავლელი წრე, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება — შეისწავლონ ქართული ნაციონალური ცეკვები. ანსამბლმა მიმდინარე წლის 18 სექტემბერს თსუ-ის I კორპუსის სააქტო დარბაზში პირველკურსელთათვის გამართა სოლო კონცერტი. აგრეთვე ნიშნობილია ანსამბლის წარმატებული გამოსვლა საერთაშორისო ფესტივალებზე, მაგალითად, იტალიაში — ქალაქ აგრი-ჯენტოში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე, რომელზეც უნივერსიტეტის ანსამბლმა მოიპოვა გრან-პრი, ასევე, გრან-პრი გადაეცა თურქეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე.



ირაკლი ხარჯავანიძე

მისი უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, გამართა უკვე ტრადიციულად ქცეული პროექტი — „სტუდენტური დღეები“. ამ პროექტის საშუალებით სტუდენტებს საკუთარი ნიჭის გამოვლენისა და თვითრეალიზაციის მანძი ეძლევათ.

გამორჩენილი მეცნიერი, ღირსეული კედაგობი და სანიმუშო პიროვნება

მერვე გვერდიდან

იურიდიულ აზროვნებაში პირველმა შემოიტანა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების აქტუალური პრობლემაა.

„ბატონო ოთარ გამყრელიძე სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. იგი არის სამაგალითო მეცნიერი, პედაგოგი, ადვოკატი, პუბლიცისტი, რომელიც ღირსეულად ემსახურებოდა და ემსახურება თავის პროფესიასა და ქვეყანას“, — აღნიშნა საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა.

პროფესორ ოთარ გამყრელიძეს გამოქვეყნებული აქვს 250-მდე სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი. 30-მდე წერილი აქვს დაბეჭდილი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. მისი სამეცნიერო ნაშრომები თარგმნილია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული ორ საერთაშორისო კოლოკვიუმში, სადაც წარადგინა მეტად საყურადღებო მოხსენებები, რომლებიც გამოქვეყნდა კრებულებში რუსულ და გერმანულ ენებზე.

შემოქმედების ისეთი მომენტები, რომლებზედაც მანამდე ყურადღება არ მიუქცევიათ. ცალკე აღნიშვნის ღირსია წერილების სერია, რომელიც პრესისა და სამართლის საკითხებს ეძღვნება.

გადაუხადა თავის კოლეგებს გულთბილი სიტყვებისათვის, ნდობისა და დაფასებისათვის და აღნიშნა: „თუ რამე გამიკეთებია ჩემი პედაგოგების თინათინ წერეთლის, ვლადიმერ მაყაშვილის და სხვათა დამსახურებაა. მათი ნამოღვაწარი ხომ თაობიდან თაობას გადაეცემა. მოხარული ვარ, რომ წელს აღინიშნება ქართული სამართლებრივი განათლების 90 წლისთავი. აქედან 50 წელი მის მსახურებაში გავატარე. მინდა მადლობა გადაუხადო ყველას მობრძანებისთვის.“



უნივერსიტეტის ნაძვის ხეს მიზარებულ სურვილები

რა ინტერესები აქვთ სტუდენტებს? რა სურთ, რომ შეიცვალოს უნივერსიტეტში და რა საჩუქრის მიღებას ისურვებდნენ საახალწლოდ? — აღნიშნულ კითხვებზე პასუხი თსუ-ის საახალწლო ნაძვის ხეზე განთავსებულ ბარათებზე აისახა. ნაძვის ხე თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივით აქციის — „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად!“ ფარგლებში დაიდგა. სტუდენტებმა მასზე ჩამოკიდებული ბარათები სათამაშოებით ჩაანაცვლეს, ბარათებზე კი საკუთარი სურვილები დაწერეს.

ნათო ოზოლაძე

სტუდენტებისთვის საახალწლო აქციის დაწყებამდე იყო ცნობილი, რომ სამი საუკეთესო სურვილის ავტორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ბარათებზე დაწერილ სურვილებს აუსრულებდა. თავისი საახალწლო ოცნება თსუ-ის ნაძვის ხეზე 1000-მდე სტუდენტმა დატოვა. ახალგაზრდების სურვილები საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა — ითხოვნენ ძილის ვაუჩერს, კაფეს უნივერსიტეტში, სწავლის დაფინანსებას, მანქანას, ბინას, გამოცდების კარგად ჩაბარებას და შუალე-

დური გამოცდების საკითხების წინასწარ ცოდნასაც კი, ზოგიერთმა მათგანმა კი საკუთარ ბარათში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი კეთილგანწყობა და სიყვარული გამოხატა. „მე შენ მიყვარხარ თსუ! შენ ხარ ჩემი ცხოვრების მიზანი!“ „ჩემი სურვილია, რომ შუალედურის წინ ყველა ლექტორი გვაძლევდეს საკითხებს და ზოგიერთი არ ვიჩაგრებოდეთ. ძალიან მინდა, ვიყო ისეთი წარმატებული, როგორც დიმიტრი გეგენავა.“ „მინდა, რომ ყველა გამოცდა კარგად ჩავაბარო და II კორპუსში დავგვიდგოთ

წესიერი ნაძვის ხე, რომელიც არ იქნება წელში მოხრილი“. „გვინდა საახალწლო ფართი, გვინდა ექსკურსიები, გვინდა აქტიური სტუდენტური ცხოვრება“. „მინდა კაფე უნივერსიტეტში და ქსეროქსის კიდევ ერთი აპარატი ბიბლიოთეკაში“. „მინდა ბინა და გამოცდების ჩაბარება“. „არ მინდა ეს 4 წელი დამთავრდეს“, — თინათინ ლეკიაშვილი. „მინდა თსუ-მ ორგანიზება გაუკეთოს ექსკურსიას, სადაც ჩემს კურსელებთან ერთად წავალ“, — თეო ჯაფარიძე. „ძალიან მინდა, რომ სწავლის საფასური გამინახვერდეს. ვინ შეიძლება ამისრულოს, არ ვიცი, უბრალოდ ჩემი ძალიან დიდი სურვილია“, — ნინო სხილაძე. თსუ-ის საახალწლო ნაძვის ხეზე სტუდენტებმა ისეთი შინაარსის სურვილებიც დატოვეს, სადაც ადმინისტრაციისგან სასწავლო



პროცესისთვის ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარებას ითხოვენ. რამდენიმე სტუდენტის საახალწლო ოცნება კი სწავლის შემდეგ თსუ-ში მუშაობის გაგრძელებაზე გახლდათ. „უნივერსიტეტში ვიპოვე ჩემი თავი და ბევრი მეგობარი შევიძინე. ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა, ვიდრე მანამდე იყო. ძალიან დიდი სურვილი მაქვს — სწავლასთან ერთად ჩემს უნივერსიტეტში ვიმუშაო. მოხარული ვიქნები, თუ სურვილი ამისრულდება და სურვილის ასრულებას თსუ-ის ადმინისტრაციისგან მოველო“, — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მაია ლალიაშვილი. „თვითმმართველობის ფოტოკლუბის წევრი ვარ და მინდა ფოტოაპარატი.“, — თამარ ქააძე. „ჩემს საახალწლო სურვილში ვწერ, რომ გეოგრაფებს გვჭირდება კომპიუტერები, რათა გეოინფორმაც-

ციული სისტემები კარგად ვისწავლოთ. ზოგადად, გვაქვს მხოლოდ 4 კომპიუტერი და არ გვყოფნის. კომპიუტერის გარეშე კი წარმოუდგენელია ამ საგნის კარგად სწავლა. იმედია, შეგვისრულებენ“, — ეკა ცეცხლაძე. საუკეთესო სამი სურვილის ავტორები რექტორმა და თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ერთობლივად გამოავლინეს, თუმცა მათი ვინაობა 8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გახდება ცნობილი. სურვილები რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით შეირჩა — უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე, ორიგინალური და მოტივირებული. „მიმდინარე წლის ოქტომბრამდე თსუ 95 წლის საიუბილეო წელიწადს აღნიშნავს. ამ საზეიმო თარიღთან დაკავ-

შირებით სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ვმართავთ. გვინდოდა, ახალ წელსაც დაგვეგეგმა ისეთი პროექტი, რომელშიც არა მარტო სტუდენტების გარკვეულ ჯგუფს, არამედ ყველა სტუდენტს მიეცემოდა მონაწილეობის მიღების საშუალება. მოვიფიქრეთ, რომ ნაძვის ხის მორთვასთან ერთად გავკეთოთ — რა სურდათ სტუდენტებს. ეს ერთგვარი გამოკითხვა გამოვიდა, რადგან ამ ღონისძიების შედეგად დამატებით ინფორმაცია მივიღეთ — შემიძებოდა თუ რა სახის პროექტები უნდა შევთავაზოთ სტუდენტებს. სურვილები იყო სხვადასხვანაირი — დაწყებული ძილის ვაუჩერიდან, დამთავრებული ისეთი სერიოზული თხოვნით, როგორცაა სწავლის დაფინანსება. გადავწყვიტეთ, რომ ავგვეჩია ორიგინალური ინდივიდუალური სურვილები და ისეთი, რომელიც სტუდენტთა გარკვეულ ჯგუფს მოიცავდა და მათი განხორციელება პროექტის სახით იქნებოდა შესაძლებელია. 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეზე ყველა ეს სურვილი ასრულდება“, — განაცხადა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ნინო კალანდიაძემ. თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, რექტორთან ერთად, სურვილების ის ნაწილი, სადაც სტუდენტები მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო თსუ-ის ადმინისტრაციას დახმარებას სთხოვდნენ, ცალკე გადაარჩია. როგორც ცნობილია, მათი სურვილების ასრულება, სხვადასხვა სოციალური ხასიათის პროექტის ფარგლებში, ეტაპობრივად მოხდება.



ფინანსისტობას მუსიკა არჩია ფულს — ჰანგებთან თამაში

პურთისია ბაროშვილი

თენგიზ ნოზაძე, მართალია, 22 წლისაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრების გრძელი გზა“ გაიარა, ბევრის გაკეთება შეძლო, მაგრამ მომავალში უფრო მეტის მიღწევას აპირებს. თავად თენგიზს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. 4-5 წლის იქნებოდა, ფორტეპიანოს რომ მიუჯდა და პირველი ნოტები აკრიფა. ცნობილი მუსიკის პედაგოგების ოჯახში ეს არავის გაკვირვებია, უფრო მოულოდნელი კი ის იყო, რომ კომპოზიციის სკოლაში დაიწყო სწავლა და მალე თავისი მათემატიკური ნიჭით გააკვირვა ყველა. პირველი ჯილდოც მათემატიკაში აიღო — ილია ვეკუას სახელობის კონკურსში პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. წარმატებები ჰქონდა სპორტშიც — 3 ოქროს მედალი წყალბურთელთა ნაკრებში თამაშის დროს არც ისე ცოტაა. ყველაზე მოულოდნელი კი, ალბათ, ის იყო, როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ ფინანსისტობა გადაწყვიტა — მას არც ამ სურვილის ასრულება გასჭირვებია. პირველივე წელს 100%-იანი დაფინანსებით ამერიკის აკადემიაში ჩააბარა, პარალელურად კი ბაირონის სკოლა დაამთავრა. ციფრებთან ჭიდილი მალე მოსწყინდა და გადაწყვიტა, ის საქმე ეკეთებინა, რაც ყველაზე ძალიან უყვარდა, ამიტომ არჩევანია კვლავ შეიცვალა. „ფინანსისტობა სრულიად შეგნებულად გადავწყვიტე, მინდოდა მატერიალური მდგომარეობა გამეუმჯობესებინა. ასევე ფიქრობდნენ ჩემი ოჯახის წევრები — დედა და ბები, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ჩემთვის ეს მუსიკაა. ჯერ კიდევ 10 წლის ვიყავი, როდესაც გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი დავიმსახურე. ამიტომ გადავწყვიტე, კონსერვატორიაში ჩამებარებინა და უკეთესად დავუფლებოდი ამ პროფესიას“, — ამბობს თენგიზი. ახალგაზრდა მუსიკოსი უკვე საკუთარ კომპოზიციებს ქმნის, მის მუსიკაზე მეგობარმა სტუდენტმა უკვე სადიპლომო ფილმიც გააფორმა. თენგიზის ნაწარმოებები ამას წინათ გერმანიაში, ქართულ-გერმანული ურთიერთობებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზეც გაუღერდა, სადაც ქართველმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა მისი სექსტეტი დაუკრეს, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და ახალი შეთავაზებაც მიიღო:

უახლოეს მომავალში გერმანიაში ორგანიზაცია „კამერტონის“ მიერ კვლავ იგეგმება კონცერტი, სადაც ახალგაზრდა კომპოზიტორის კიდევ ერთ ნაწარმოებებს შეასრულებენ. როგორც თენგიზი ამბობს, მის შემოქმედებაში ქართული ფოლკლორის გავლენა იგრძნობა და ამას ამ სფეროსადმი დიდი სიყვარულით ხსნის. „ყველაზე მეტად კლასიკური მუსიკა და ხალხური ფოლკლორი მიყვარს. გერმანიაში შესრულებული კომპოზიციები მთლიანად ხალხურ სიმღერაზე: „ბულბულს სტვენა, ვარდს სინაზე“-ზეა აგებული. ჩემი მომდევნო გატაცება სწორედ ამას უკავშირდება. მინდა, საქართველოში ეთნომუსიკოლოგია განვითარდეს.“ ამ მიზნის მისაღწევად თენგიზ ნოზაძემ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანთმცოდნეობის მიმართულების მაგისტრატურაზე სწავლა გადაწყვიტა. დღეს იგი II კურსის წარმატებული სტუდენტია. „მართალია, ამჟამად, ძირითადად, მუსიკის წერით ვარ დაკავებული, მაგრამ პარალელურად თარგმანთმცოდნეობასაც ვეუფლები. როგორც გითხარით, მაინტერესებს ეთნომუსიკოლოგია, რომელიც საქართველოში საერთოდ არ არის განვითარებული. ეს დარგი შეისწავლის და იკვლევს მსოფლიო ხალხთა ეთნო მუსიკას, როგორც სოციალურ და კულტურულ ფენომენს. დღეს მსოფლიოში დიდი დაინტერესება აქვს აღმოსავლეთის ეთნო მუსიკას, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ხალხურ შემოქმედებასაც იცნობენ, მაგრამ გამოსაკვლევი მისი ფენომენი, ამიტომაც დაინტერესდი ამ დარგით“, — ამბობს თენგიზ ნოზაძე. კითხვაზე — რას აკეთებთ თავისუფალ დროს? თენგიზს გაეღიმა და მითხრა, რომ კომპოზიტორები თავისუფალი ხალხია და როდესაც მუსიკას არ წერს, კითხულობს. ხშირად იღებს მონაწილეობას კონსერვატორიაში გამართულ კონცერტებში, მეგობრებთან ერთად ხანდახან კლუბშიც დადის, მაგრამ კლუბური მუსიკა არ მოსწონს, მისი საყვარელი კომპოზიტორი ბახია, საყვარელი მწერალი — გურამ რჩეულიშვილი.



„ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს.“

თენგიზი სამომავლოდ საზღვარგარეთაც გეგმავს სწავლის გაგრძელებას, არჩევანს, ალბათ, გერმანიაზე შეაჩერებს. იგი არც იმას გამოირიბავს, რომ შეიძლება ელექტრონულ მუსიკაშიც სცადოს ბედი და თავისი მუსიკა ინტერნეტის საშუალებით გაყიდოს. უახლოეს მომავალში გეგმავს ლოპოტასა და ბოლნისში გამართულ საქველმოქმედო კონცერტებში მონაწილეობას. თავისი შესაძლებლობების მოსინჯვას აპირებს თეატრისა და კინოს მუსიკის შექმნაში. ალბათ, ესეც გამოუვა, რადგან აქამდე რაც ჩაიფიქრა, ყველაფერი გააკეთა...

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, იაკო კაჭკაჭიშვილი,	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ხელმძღვანელი რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე,	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკომპოზიციის მმართველი	სოსო გამგებელი	ნოდარ ბელქანი, თემურ ნადარეიშვილი,	tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე,	2 22 36 62
		ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური	